საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 24 სექტემბერი, 2014 წელი.

№194 (7575)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.



ნიუ იორკი: ქართული დელეგაცია გაეროს სამიტზე

გაეროში ორმხრივი შეხვედრები დაიწყო.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გაეროს 69-ე გენერალურ ასამბლეაზე დასასწრებად მთავრობის წევრებთან ერთად ნიუ-იორკში იმყოფება. ირაკლი ღარიბაშვილი მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა. 29-ე კონფერენციის ვიცე-პრეზიდენტი ქვეყანა წელს საქართველოა, რაც აქამდე არ მომხდარა. კონფერენცია ორშაბათს, დღის მეორე ნახევარში გაეროში საქართველოს მისიის ხელმძღვანელს კახა იმნაძეს მიჰყავდა.

ორმხრივ შეხვედრებს ნიუ-იორკში საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძეც მართავს, რომელიც ცდილობს, რომ გაეროს მომდევნო რეზოლუციისთვის საქართველოს უფრო მეტი მხარდამჭერი ქვეყანა ჰყავდეს. ნიუ-იორკში გარემოს დაცვის მინისტრიც იმყოფება. სამთავრობო დელეგაციას იუსტიციის და ეკონომიკური განვითარების მინისტრები, ასევე კულტურის მინისტრი შეუერთდა, რომელიც ნიუ-იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში ქართული ფილმების მასშტაბური რეტროსპექტივის გახსნას დაესწრება.

შეერთებულ შტატებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის ოფიციალური ვიზიტი გაეროს მოსახლეობისა და განვითარების კონფერენციაზე გამოსვლით დაიწყო.

2

როცა პრეზიდენტი ტყისკენ იყურება, ნარმანია სიდედრებს გამოსშირავს, თარგამაძე ილრინება

3

ისე, კაცმა რომ თქვას, პირადად მე, დიდ უბედურებას ვერ ვხედავ იმაში, რომ პრეზიდენტის სასახლედ აგებული შენობა, პრეზიდენტის სასახლედვე დარჩენილიყო (მაშინ უნდა გამოგვედო თავი, როცა მისი მშენებლობა გადაწყდა. ეს იქნებოდა სწორი და მართებული), ისევე, როგორც, გვინდა-არ გვინდა, პრეზიდენტია ქვეყნის სიმბოლო, ისიც იქნებოდა ქვეყნის კიდევ ერთი სავიზიტო ბარათი (ისე, ხვალ-ზეგ ილია ჭავჭავაძე რომ აღდგეს და ის ავირჩიოთ, მაშინ რა ვქნათ, არ მოუხდებოდა იქ დაბინავება?).

ან ნეტა რა უნდა განთავსდეს იმ შენობაში ისეთი, ხალხი არ გააოცოს შეუსაბამობით! რომელიმე უნივერსიტეტი? მუზეუმი? არ თქვა!

იქნებ ერთადერთი სწორია — მიღებათა სასახლე?!



ანზორ მაისურაძე: საქართლის ზეობას ჩვენს ქვეყანაში ჯერჯეროობით ვერ ვხედავ

6

სავიზო რეჟიმი, ირანი და თერძი დიპლომატიაში

ირანი ის ქვეყანაა, ვინც მტკიცედ იბრძვის ტერორიზმის, ექსტრემისტული, ვაჰაბიტური, სალაფიტური რადიკალური ისლამის წინააღმდეგ. ირანული შიიზმი, საერთოდ შიიზმი, ისეთივე შეტევას განიცდის რადიკალური ისლამისგან, როგორც ქრისტიანობა, მართლმადიდებლობა.

5

მაგთიკომის განახლებული ოფისი საბურთალოზე

4

საქართველოში ყოველი ხუთი ორსულიდან სამი აბორტს იკეთებს

8

◎ ნომრის კარიკატურა



ნაციონალები „ოცნების“ პირისპირ...

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

არ გვავიწყდება გამოწვევები, რომლებიც ჯერ კიდევ დასაძლევია

პრემიერ-მინისტრის გამოსვლა გაეროს გენერალური ასამბლეის სპეციალურ სესიაზე



ბატონებო,
პატივცემულო დელეგატებო,

ეს სხდომა ტარდება იმ დროს, როდესაც მსოფლიო დგას მთელი რიგი კრიტიკული გამოწვევების წინაშე. ეს გვავალდებულებს ახალი ენერგიითა და ძალისხმევით შევუდგეთ მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის (ICPD) დღის წესრიგის განხორციელებას, რაც სასიცოცხლოდ აუცილებელია ათასწლეულის განვითარების მიზნების მიღწევისათვის და ჩვენი 2015 წლის შემდგომი განვითარების პროგრამის განსაზღვრისათვის.

უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში, ICPD სამოქმედო პროგრამის მიღების შემდეგ, ჩემმა ქვეყანამ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ICPD-ის დღის წესრიგის რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულების განვითარება-ხელშეწყობის კუთხით.

დღესღეობით მოსახლეობასთან დაკავშირებული პროგრამები და დღის წესრიგი ძალზე წარმატებული აღმოჩნდა: მშობიაროობისას გარდაცვლილი ქალების რაოდენობა შემცირდა, ხდება უფრო მეტი არასასურველი ორსულობის პრევენცია, გაფართოვდა ახალგაზრდების შესაძლებლობები. თუმცა, გაცილებით უფრო მეტის გაკეთებაა საჭირო.

ჩემი ქვეყანა მუშაობს მთელ რიგ ინიციატივებზე, რომლებიც ორიენტირებულია ჩვენს მოსახლეობაზე ზრუნვასა და მისი კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე.

გასულ წელს ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მთავრობის მიერ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დაწყება, რომელმაც უზრუნველყო საქართველოს თითოეული მოქალაქე ამბულატორიული, სტაციონარული და გადაუდებელი სასწრაფო სამედიცინო მომსახურების საბაზისო პაკეტით.

საქართველოს, ასევე, აქვს ყოვლისმომცველი სოციალური დაცვის სტრატეგია, რომლის ძირითადი აქცენტები მიმართულია ღარიბი და სოციალურად დაუცველი ადამიანების დაცვასა და ხანდაზმულ ასაკში სიღარიბისაგან დაცვაზე.

ახალდაარსებული სახელმწიფო და კერძო სექტორის მომცველი სოლიდარობის ფონდი მოახდენს არასაბიუჯეტო რესურსების მობილიზაციას სოციალურად ყველაზე დაუცველი მოსახლეობის მხარდასაჭერად.

2013 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტმა მოახდინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის რატიფიცირება. შემდგომ, 2014 წლის იანვარში, საქართველოს მთავრობამ მიიღო ახალი სამოქმედო გეგმა შეზღუდული შესაძლებლობის პირთათვის თანაბარი უფლებების უზრუნველყოფის შესახებ.

ჩემმა ქვეყანამ განახორციელა რამდენიმე საკანონმდებლო და ინსტიტუციური ინიციატივა ადამიანის უფლებათა სფეროს მოსაწესრიგებლად, 2014-2020 წლების ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის, 2014-2015 წლების ადამიანის უფლებათა ეროვნული სამოქმედო გეგმისა და ახალი ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების ჩათვლით.

კიდევ ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება დევნილების საკითხი. კონფლიქტის რამდენიმე ტალღის გამო საქართველოში 450,000-ზე მეტი ადამიანია იძულებით გადაადგილებული. დღემდე დარღვეულია მათი საკუთარ სახლებში, წარმომავლობის ადგილებში დაბრუნების უფლება, რადგან ვერ კმაყოფილდება მათი უსაფრთხო, ნებაყოფლობითი და ღირსეული დაბრუნების პირობები.

მთავრობის ძირითად მიზნად რჩება დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა და მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, ვიდრე შესაძლებელი არ გახდება მათი უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნება. ჩვენ ამჟამად ვახორციელებთ რამდენიმე სხვადასხვა გეგმას მოცემული მიზნის მისაღწევად.

ამ მნიშვნელოვანი მიღწევების მიუხედავად, გასაკეთებელი კიდევ ბევრი რჩება. ჩვენ არ გვავიწყდება გამოწვევები, რომლებიც ჯერ კიდევ დასაძლევია, რათა გაუმჯობესდეს ჩვენი ხალხის ცხოვრების დონე, უზრუნველყოფილ იქნეს თანასწორობა და სამართლიანობა, დაცული იყოს გარემო მომავალი თაობებისათვის. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვიზიარებთ იმ აზრს, რომ აუცილებელია დასკვნების გადახედვა.

ჩემი ქვეყანა ამაყობს იმით, რომ უერთდება საერთაშორისო თანამეგობრობას და კიდევ ერთხელ ადასტურებს მხარდაჭერას ICPD-ის სამოქმედო პროგრამის მიმართ, და მზად არის ამ ძალისხმევაში შემდგომი წყვლილის შესატანად.

დიდი მადლობა.

პრემიერ-მინისტრი ნიუ-იორკში ვიზიტის დროს გაეროს ფორმატით გამართულ კიდევ სამ კონფერენციაში მიიღებს მონაწილეობას. დატვირთული ვიზიტი აქვს საგარეო საქმეთა მინისტრს მაია ფანჯიკიძესაც. მის განრიგში სამოცდახუთი შეხვედრაა ჩანიშნული. გაეროს წევრი ქვეყნების საგარეო მინისტრებთან კონსულტაციები გაეროს გენერალურ ასამბლეაზე დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების შესახებ რეზოლუციის ბედს წყვეტს.

კლიმატის სამიტი ნიუ-იორკში სამშაბათს გაიხსნა, სადაც პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სამიტის წარმომადგენლებს მიმართა. გაეროს 69-ე გენერალური ასამბლეის მონაწილე დელეგაციების მეთაურებისა და მათი მეუღლეების პატივსაცემად მიღებას დღის ბოლოს შეერთებული შტატების პრეზიდენტი და მისი მეუღლე გამართავენ, სადაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილიცაა მიწვეული. ქართული დიპლომატიური უწყების მხრიდან ამერიკის პრეზიდენტთან და სხვა ოფიციალურ პირებთან შეხვედრის თხოვნა უკვე არსებობს. ცნობილია, რომ ბარაკ ობამა კლიმატის სამიტზე გამოსვლისას მსოფლიო ლიდერებს ერაყსა და სირიაში მუსლიმი მებრძოლების წინააღმდეგ საერთაშორისო კოალიციის შექმნის ინიციატივით მიმართავს.

ირაკლი ღარიბაშვილი ჰილარი კლინტონისა და რეჯეფ ტაიპ ერდოღანის სახელით გამართულ მიღებებს დაესწრო

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, გაეროს გენერალური ასამბლეის 69-ე სესიის ფარგლებში, თურქეთის პრეზიდენტ რეჯეფ ტაიპ ერდოღანის სახელით გამართულ ოფიციალურ მიღებას დაესწრო.

საქართველოს პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, პრეზიდენტმა ერდოღანმა მიღებაზე გენერალურ ასამბლეაში მონაწილე დელეგაციების მეთაურებს და წარმომადგენლებს უმასპინძლა.

საღამოს, საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ერთად, დაესწრნენ: საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე და საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი გაეროში კახა იმნაძე.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, მეუღლესთან ერთად, პრეზიდენტ ბილ კლინტონისა და მისი მეუღლის ჰილარი კლინტონის სახელით გამართულ ოფიციალურ მიღებასაც დაესწრო.

ირაკლი ღარიბაშვილი ბილ და ჰილარი კლინტონებს და მიღებაზე მიწვეულ მაღალი რანგის სტუმრებს გაესაუბრა.

ⓘ ინფორმაცია

ჯანდაცვის საყოველთაო პროგრამით მოსარგებლეთათვის

საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით მოსარგებლე მოქალაქეებისთვის სასურველ პოლიკლინიკასა თუ ამბულატორიაში დარეგისტრირების შესახებ ინფორმაციას აქვეყნებს.

უწყების ინფორმაციით, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით მოსარგებლე ნებისმიერ მოქალაქეს, რომელიც თავისი თანხმობით ან თანხმობის გარეშე დარეგისტრირებულია ამა თუ იმ პოლიკლინიკაში, შეუძლია, არასასურველი რეგისტრაციის გაუქმების მიზნით მიმართოს საყოველთაო ჯანდაცვის სერვისცენტრს (ჯავახიშვილის №51ბ, ვაჟა-ფშაველას გამზირი №70ა, ბოჭორმის ქუჩა №8) და დარეგისტრირდეს მის მიერ შერჩეულ პოლიკლინიკასა თუ ამბულატორიაში.

სასურველ პოლიკლინიკაში დარეგისტრირება ხდება სპეციალურად შემუშავებული მკაცრი აღრიცხვის ფორმის შევსების საფუძველზე. რეგისტრაციის შეცვლა შესაძლებელია 2 თვეში ერთხელ. იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარი პირველადი ჯანდაცვის დაწესებულების (პოლიკლინიკის) მიერ დარეგისტრირებულია თავისი თანხმობის გარეშე, მას შეუძლია რეგისტრაცია მყისიერად გააუქმოს და ამისათვის უნდა მიმართოს არა პოლიკლინიკას, არამედ საყოველთაო ჯანდაცვის სერვისცენტრს.

ასევე, კერძო სადაზღვევო კონტრაქტის შეწყვეტისას, იმისათვის, რომ დაზღვეულმა ისარგებლოს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, ცნობა სადაზღვევო კომპანიიდან უნდა წარადგინოს საყოველთაო ჯანდაცვის სერვისცენტრში, ზემოთ ჩამოთვლილ ნებისმიერ მისამართზე.

როცა პრეზიდენტი ტყისკენ იყურება, ნარმანია სიდედრებს გამოხშირავს, თარგამაძე ილრინება

ძალიანაც არ გინდოდეს, მაინც გამოჩხრეკენ რაღაც საეშმაკოს.

თუნდაც პრეზიდენტის (ახლის) გარშემო ატეხილი ხმაური ავიღოთ:

დახეთ, აქამდე ვერ გამოიყვანეს ავლაბრის რეზიდენციიდანო.

გაეროში მოინდომა წასვლა ქვეყნის წარმომადგენლად, საიდან ამხელა ამბიციაო.

მოკლედ, ეს ვინ ყოფილა, ხალხოო.

ოღონდ ბევრს შეიძლება არც ახსოვდეს და ამ ხმაურს შარშან, ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდში ამოეჭრა კიჭები.

გაიხსენეთ შარშანდელი შემოდგომა: თავდაპირველი 60 თუ 63 ნდომააღძრულიდან ოქროს სიაში საბოლოოდ დარჩენილი 23 კანდიდატი.

ის 23 კანდიდატი ერთმანეთისგან მხოლოდ წინასაარჩევნო ჰაი-ჰუით გამოირჩეოდა.

ოღონდ ზოგი ერთობ ხმაურობდა – შესაძლებლობა მოსდგამდა და ვრცელ დარბაზებში კრებდა ყურდაცქვეტილ ელექტორატს, ზოგიც – მოკრძალებულად წამოყრიდა ხოლმე ეზოებში დომინოს მოთამაშეებს. მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგებოდა, შუბლზე ჭკვიანურად ხელის შემოდება არავის არავისზე ნკლებად არ ჰქონდა დამუღამებული, თუმცა კი, საზოგადოება მათ უმრავლესობას არა თუ არ იცნობდა, საერთოდ მათი გვარებიც არ სმენოდა, უკეთეს შემთხვევაში, თუ სმენოდა, ერთობ ყურმოკრულად.

ჰოდა, მოგვადგა პრეზიდენტობის მსურველ-მდომებელთა ეს ხმალამოღებული რაზმი და პირდაპირ სული ამოგვხადა, გინდა თუ არა, საქართველოს გავამთლიანებთ, საერთოდ ყველა პრობლემას მოგიხსნით, ერთად ვაკონტროლოთ მთავრობაო (მრავლობითში მე ვამბობ, თორემ ისინი ცალცალკე, მხოლობითში იბრაგუნებდნენ მკერდში მჯიღს).

რატომ ღმერთი არ გაიცინებდა: ყველაზე მეტად ის კანდიდატი და მისი შემქმნელ-დამსმელი პარტია იჭაჭებოდა, ვინც ბოლო 9 წელიწადში სულ დედა უტირა ხალხსაც და ქვეყანასაც.

და ამ ქარაქუცა დაპირება-ფიცილის ღრიანცელში არავის გახსენებია, რომ 2013 წლის 27 ოქტომბერს არჩეულ პრეზიდენტს, დასტურ რომც სდომოდა თავისი უხვი დაპირებების აღსრულება, ვერაფერსაც ვერ იქმდა.

არც კანდიდატები და არც ელექტორატი არ უღრმავდებოდნენ, რომ წავიდა ხალხისა და ქვეყნის ერთმმართველი პრეზიდენტის დრო, რომ 27 ოქტომბერს გამოჩეკილ ქვეყნის პირველ კაცს მხოლოდ უმნიშვნელო ფუნქციები ექნებოდა და მთავრობის კონტროლს, ევროპისკენ ან აზისკენ ერის გაძღოლას, პენსია-დახმარებების მომატებას არავინ შეეკითხებოდა.

ერთი სიტყვით, კარგ შემთხვევაში გვირგვინი ედგმებოდა, მაგრამ მორჭმით მეფობა – ნურას უკაცრავად!

პრეზიდენტის ოდინდელი უფლებების პრემიერ-მინისტრსა და პარლამენტზე კონსტიტუციურად გადანაწილების შემდეგ მას (ახალ პრეზიდენტს) ღობის იქით არც კი გადაახედებდნენ ავი მაგალითებით დაშინებული, კბილმოკვეთილი სხვა შტოს ხელისუფალნი.

კანდიდატებმა ვერ გაითვალისწინეს, მამაძუძუ პარტიებმა კი საჭიროდ არ სცნეს მათი გაფრთხილება (იქნებ თვითონაც არ იცოდნენ), ვერც ელექტორატმა შეუძახა – მეფე შიშველიაო და წავიდა!..

ბატონი გიორგი მარგველაშვილიც ასე სავსედ მოვიდა დღემდე, სულ ეგონა სრული პრეზიდენტი ვარო, მაგრამ ის მიიღო, რაც მიიღო.

ეს ვითარება ძველ ანეკდოტს მაგონებს: საბჭოთა კავშირმა მორიგი თანამგზავრი გაუშვა კოსმოსში ინტერნაციონალური ეკიპაჟით: ორი რუსი და ერთი ვიეტნამელი. მშვიდობით დაბრუნდნენ. ჟურნალისტი შთაბეჭილებებზე ეკითხება ვიეტნამელ კოსმონავტს. ყველაფერი დიდებულად იყოო. მაჯები რატომ გაქვს დალურჯებულიო. ეს ისე, როგორც კი რომელიმე ხელსაწყოსკენ ხელს წავიღებდი, მაშინვე ჩამარტყამდნენ ხოლმე, ხელი არ ახლოო.

შეიძლება კანდიდატები ითავისებდნენ კიდეც, მაგრამ საოცნებოდ მჟღერი სიტყვა „პრეზიდენტი“ ისე ესალბუნებოდა ყურს, რომ გუშინდელი იმპერატორის საახალწლო ინდაურივით გაპუტვა-აქნა ვერ დაუშვეს, როგორც ჯვარცმული ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა ვერ ირწმუნა თომამ, სანამ შუბით განგმირულ ფერდში ხელი არ ჩაუყო.

ან როგორ წარმოიდგენდნენ: ცხრაწლიანი პრეზიდენტი ბოლო წუთამდე ნიშადურამოსმულივით დაქროდა ზერე-ქვერე, სოფელ-სოფელ, ქალაქ-ქალაქ, თაიგულივით ჩადგებოდა საგანგებოდ მისთვის შერჩეულ-შექუჩებულ ხალხში და, თავის ჭკუით, იმედს თესავდა, ხან ბათუმში ჩაიხუტებდა თამთამა დამსვენებელ ქალბატონს, ხან კახეთში უჭახუნებდა ჭიქას მოულოდნელობით თავბრუდახვეულ მევენახეს, ხან ამერიკაში ჩავარდებოდა, ხან ევროპაში გამოვარდებოდა. ერთი სიტყვით, ყველგან იყო, ოღონდ არა თავის კაბინეტში, ავლაბრის რეზიდენციაში, რომლის აგებაც ასეულ მილიონობით დოლარი დაუჯდა ჩვენს კუჭმიმხმარ ბიუჯეტს, იმ იმედით, რომ ჩვენი ქარაქუცა პრეზიდენტი, ბოლოს და ბოლოს, იქ ქაღალდებით დახუნძლულ მაგიდას მიუჯდებოდა და კითხვით თვალებს ამოიღამებდა.

მაგრამ კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო. რის კითხვით თვალების ამოღამება და ჯდომით კუზის ამოყვანა. მიხეილი სირბილ-სირბილში წეწავდა სახელმწიფო საქმეებს, ბოლოს კი ისე, რომ ქუდისთვის სახლში არც შეუვლია, სირბილითვე მოუსვა და დღემდე ურბენს გარშემო დედამიწას, ოღონდ სამშობლოში შემორბენას ვეღარ ბედავს...

2013 წლის 27 ოქტომბერს პატივი ვეცით ბატონ ბიძინას და ავირჩიეთ მისი შერჩეულ-შემოთავაზებული, ყველაზე უკეთესი პრეზიდენტი და რომ გვეგონა, დალაგდა ქვეყანაო, სწორედ მაშინ აირია მონასტერი:

პრეზიდენტმა მარგველაშვილმა, იმ მგელივით, რომლის თავზეც სახარებას კითხულობდნენ, ტყისკენ გაისწია.

ჯერ იყო და ავლაბრის რეზიდენციაში შევიდა და აღარ გამოვიდა.

არადა, სააკაშვილს სულ იმას ვსაყვედურობდით, მაგ სასახლეში ერთი ადგილი დააყენეო.

ახლა გიორგი მარგველაშვილს იმაზე აუხირდნენ, რას გამოჭიმულხარ მანდ ფეხმოუცვლელადო.

სასახლეში გამოჭიმვა სასინჯი ქვა აღმოჩნდა.

აქედან დაიწყო.

ისე, კაცმა რომ თქვას, პირადად მე, დიდ უბედურებას ვერ ვხედავ იმაში, რომ პრეზიდენტის სასახლედ აგებული შენობა, პრეზიდენტის სასახლედვე დარჩენილიყო (მაშინ უნდა გამოგვედო თავი, როცა მისი მშენებლობა გადაწყდა. ეს იქნებოდა სწორი და მართებული), ისევე, როგორც, გვინდა-არ გვინდა, პრეზიდენტია ქვეყნის სიმბოლო, ისიც იქნებოდა ქვეყნის კიდევ ერთი სავიზიტო ბარათი (ისე, ხვალ-ზეგ ილია ჭავჭავაძე რომ აღდგეს და ის ავირჩიოთ, მაშინ რა ვქნათ, არ მოუხდებოდა იქ დაბინავება?).

ან ნეტა რა უნდა განთავსდეს იმ შენობაში ისეთი, ხალხი არ გააოცოს შეუსაბამობით! რომელიმე უნივერსიტეტი? მუზეუმი? არ თქვა!

იქნებ ერთადერთი სწორია – მიღებათა სასახლე?!

ერთი სიტყვით, პრეზიდენტის სასახლიდან დაიწყო და თვით პრეზიდენტის (ახლის) ზომა-წონასა და ქსოვით გატაცებაზე გადავიდნენ.

აღარაფერი მოსწონთ იმ კაცისა, რომლის საწინააღმდეგოც, როცა ბატონი ბიძინა შარშან ხელჩაკიდებული დაატარებდა ამომრჩევლებთან შეხვედრებზე, არავის არაფერი დასცდენია.

ახლა კი, როცა ხასიათის გამოკვეთილი თვისებები გამოავლინა (განსაკუთრებით – მექრძოლი სიჯიუტე. თუმცა, რა გასაკვირია, მიაწვნენ და ამანც გაქირი გასწია!), არაფერი მოსაწონი აღარ აღმოაჩნდა!

ამას ბეწვის ხიდზე ერთმანეთის პირისპირ მდგომი თხების სინდრომი მოჰყვა.

საქმე კრიზისადმე მივიდა და როგორც არაკშია, ორივე ჯიუტი ბეკეკა შეიძლება წყალში გადაცვივდეს.

ამას როგორმე ავიტანდით, მაგრამ ვაითუ გადაცვენილებმა ქვეყანაც გადაიყოლონ ამ ნაცმოძრაობის გველაძუობის ჟამს.

ისე რომ, აწი მაინც დიდი სიფრთხილე გვმართებს ნებისმიერი რანგის არჩევნებისას, კანდიდატმა რა გინდ პლასტელინი და გოზინაყი ვარო, იძახოს!

თუ თავი მთლად გადადებული არ გაქვს და ლუკმაპურის შოვნა, ასე თუ ისე, შეგიძლია, ქვეყნის პრეზიდენტობისა არ იყოს, თბილისის მერობაც არ უნდა ინატრო.

წურბელასავით გამოგწოვს უკანასკნელ წვეთ სისხლს და ისე მიგაგდებს, მხოლოდ კნავილის ოფსილა შეგრჩება.

ჯერ მარტო ამხელა მერიაში, რომელშიც თანამშრომლები საგანგებოდ შედგენილი კვარტალური გრაფიკით თუ აუვლიან გვერდს ერთმანეთს, უნდა გაარკვიო, ვინ ვანო მერაბიშვილის სიდედრია და ვინ გიგი უგულავას ცოლისძმა, ვინ იღებს ხელფასს დაუსწრებლად და რამდენი ყოფლი მოღვაწის მერიელი ნათლიმამა ლესავს დანას ხელისუფლების ყელის გამოსაჭრელად ვთქვათ, VIII ან XVI სართულზე...

დავით ნარმანია მართლაც გლახა დღეშია.

ჯერ ერთი, ავგიას თავლა დროულად აქვს გამოსაგველი, სანამ რამეს უხიმანებდნენ ღრენია ოპონენტები.

მეორე, დედაქალაქის ბიუჯეტია გასაწონასწორებელი, თორემ კეთილი ავისმოსურნენი სულაც სასესხებელი ფინანსების მოპარვას დააბრალებენ.

მესამე. სულ სათითაოდ არის ხელახლა შესასწავლი ყველა ტენდერი თუ ხელშეკრულება, რომელთა დოკუმენტებიდან დოლარების საეჭვო შრიალი ისმის, „სითი-პარკი“ იქნება თუ ყვითელი ავტობუსები...

არის წვრილ-წვრილი, ჯერჯერობით ანგარიშში არჩასაგდები საპროტესტო აქციების სუსტი ტალღები, არის პირის, თვალების (ქუთუთოების) და სწორი ნაწლავის (ანუს მუნდის) ამოკერვა...

პრეზიდენტი ქსოვს, პატიმრები კერავენ...

ქოცები წელებზე ფეხს იდგამენ, ღობე-ღორეს ედებიან, ნაცები დაძვრებიან და კუდით კვალს შლიან...

მაგრამ რომ არ იშლება!..

ფხა გამოიჩინა ახალბედა ალექსანდრე ჭიკაიძემ და ლამის მამისმკვლელობა დააბრალონ. ჯერ იყო და იმაზე აუტყდნენ, ახალგაზრდაა და ისეთ მძიმე უწყებას, როგორიც შინაგან საქმეთა სამინისტროა, თავს ვერ გაართმევს, გინდა თუ არა, მოხსენითო. მერე, როცა თავის გართმევაც დაიწყო და ვიღაც-ვიღაცებს ყელშიც წვდა, როგორ თუ მოქალაქეებს აწუხებს – ქალაქში რეიდებს აწყობსო! მაღლა ვერ შეწვდნენ სპილოსა, დაბლა უკბინეს რბილოსა: ნაციონალებმა ჭიკაიძე პოსტიდან ვერ გადააყენეს და ახლა პარლამენტში დაიბარეს „წითელ ხალიჩაზე“.

აკო მინაშვილს კინაღამ მიკროფონი შემოეჭამა კაპუეტივით.

გივი თარგამაძემ ავად შეუღრინა ხელისუფლებას, ყელს გამოგღადრავთო.

ეს არ იყო „ლამაზ სიტყვად“ თქმული, გივიმ იცის, რასაც ამბობს. გივიმ იცის გამოღადრვა.

გახსოვთ: „სულს ამოგხდით, ნაძირლებო!“

ის „ამოხდა“ და ეს „გამოღადრვა“, მით უფრო ანგარიშსგასაწევია, როცა ამას თვითონ ნაძირალა გპირდება!

ამდენად ნაძირლები იმუქრებიან, ნაძირლები ერთიანდებიან, ნაძირლები ავისთვის ემზადებიან.

როგორც ამბობენ, ეს ყველაფერი ამ შემოდგომაზეა მოსალოდნელი.

„შემოდგომა რომ დადგება, გიორგობის თვეოო!.“

გაუვა ვითომ ეგ ნომერი, დურუ ხუნჭუას?

ალეკო ასლანიშვილი

ისე, კაცმა რომ თქვას, პირადად მე, დიდ უბედურებას ვერ ვხედავ იმაში, რომ პრეზიდენტის სასახლედ აგებული შენობა, პრეზიდენტის სასახლედვე დარჩენილიყო (მაშინ უნდა გამოგვედო თავი, როცა მისი მშენებლობა გადაწყდა. ეს იქნებოდა სწორი და მართებული), ისევე, როგორც, გვინდა-არ გვინდა, პრეზიდენტია ქვეყნის სიმბოლო, ისიც იქნებოდა ქვეყნის კიდევ ერთი სავიზიტო ბარათი (ისე, ხვალ-ზეგ ილია ჭავჭავაძე რომ აღდგეს და ის ავირჩიოთ, მაშინ რა ვქნათ, არ მოუხდებოდა იქ დაბინავება?).

ან ნეტა რა უნდა განთავსდეს იმ შენობაში ისეთი, ხალხი არ გააოცოს შეუსაბამობით! რომელიმე უნივერსიტეტი? მუზეუმი? არ თქვა!

იქნებ ერთადერთი სწორია – მიღებათა სასახლე?!

◎ მაგთიკომი

განახლებული ოფისი საბურთალოზე

მაგთიკომის მომხმარებლები რამდენიმე წლის განმავლობაში სარგებლობდნენ პეკინის ქ. №2-ში განთავსებული ოფისით, რომელიც მაინცდამაინც ვერ აკმაყოფილებდა მომხმარებლის მოთხოვნებს.

23 ოქტომბერს მოძველებულ ადგილას მაგთიკომის განახლებული ოფისი გაიხსნა.

მომხმარებლისთვის მეტი კომფორტის შესაქმნელად, ოფისი ახლებური დიზაინითაა წარმოდგენილი და მომსახურების მაქსიმალურ გამარტივებას ისახავს მიზნად.

ახალ ოფისში ერთი ფანჯრის პრინციპია, თანამშრომელთა მუშაობის დახვეწილი სტილი და თანამედროვე დიზაინი, აბონენტთა მომსახურებას მაქსიმალურად გაამარტივებს.

„მაგთიკომს მთელ საქართველოში მომსახურების ფართო ქსელი აქვს შექმნილი. არსებული 47 ოფისიდან თბილისში 12, რეგიონებში კი 35 ოფისი ფუნქციონირებს. მათ გარდა, მომხმარებელს ემსახურება ხუთი მობილური ოფისი, დილერების ფართო ქსელი და იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი ცენტრები“, — თქვა ჩვენთან საუბარში კომპანია „მაგთიკომის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა თათული ღვინიაშვილმა.

მიუხედავად იმისა, რომ „მაგთიკომის“ 3 მილიონზე მეტ აბონენტს დამოუკიდებლად შეუძლია სერვისების მართვა მობილური ტელეფონის ან ინტერნეტის საშუალებით, მომსახურების ოფისები სრული დატვირთვით მუშაობენ და დღეში ასობით დაინტერესებულ აბონენტს ემსახურებიან. ახალი ოფისის ერთ-ერთი პირველი სტუმარი სტუდენტი მარიამ დემეტრაშვილი აღმოჩნდა.

„ჩემთვის და ჩემი მეგობრებისთვის ეს ოფისი ძალიან მოსახერხებელ ადილასაა განთავსებული. მე სტუდენტი ვარ და საჭიროების შემთხვევაში ადვილად შევძლებ მომსახურების მიღებას, განახლებული დიზაინი და ის კომფორტი, რაც ოფისში დამხვდა, ძალიან მომწონს“, — განაცხადა მარიამ დემეტრაშვილმა.

მართლაც ძალიან კარგი საქმე გაკეთდა „მაგთიკომის“ იმ მომხმარებლებისთვის, რომლებიც კომპანიის სხვადასხვა სერვისებით სარგებლობენ, პეკინის ქ. №2-ში განთავსებულ ოფისში მოსვლა ბევრად გაადვილებს მაგთიკომის სერვისებით სარგებლობას.

გია გაბრიჭიძე

◎ გულისთქმა



ისევ და ისევ თქვენ გვეიმედებით, ბატონო ბიძინა!

მახსოვს, გერა ბაბუა, თავის ნაჯაფარ, ნაოფლარ ყანას, შემწიფდებოდა თუ არა, დატაროვებულს ჩაუდარაჯდებოდა, ჰოდა, როგორც კი ჭილყვავი შემოესეოდა, ეგრევე დააქუხებდა მაჭახელას. ავყია ფრინველებიც ჭყიპინ-ყვავ-ყვავით გაიფანტებოდნენ დამფრთხალ-შეშინებულნი.

დიდი ხნის დუმილისა და თმენის შემდეგ ბატონმა ბიძინა ივანიშვილმაც დაქუხა თავისი მაჭახელა და...

არადა, მართლაც რკინის ნერვები უნდა გქონდეს, რომ ამდენი უსამართლო ლანძღვა, უკადრისის კადრება რომ ითმინო, მერე და ვინ, სამშობლოსა და ერის გადამრჩენელმა, მამულისათვის სიცოცხლის უშურველად გამღებმა.

მე თუ მკითხავთ, და არა მარტო მე, ჩემსავით ბევრს, მრავალზე მრავალს მიაჩნია, რომ ეს ჯერ კიდევ შემორჩენილი ნაცნაძირალები: ბოკერიები, მაჭავარიანები, გოგორიშვილები, გაბაშვილები, ჭიაბერაშვილები, რატიანები და ძმანი მათნი... გვარს რას ვერჩი, სულ რაღაც თითზე ჩამოსათვლელნი, მაგრამ თავიანთ „რუსთავი-2“-დან ნერვების მომშლელნი, სრული 100 პროცენტით სამშობლოს მტრები არიან.

ბატონმა ბიძინამ რაინდული ნაბიჯი გადადგა — მე ჩემი გავაკეთე, აპა, ბურთი და მოედანი, ქვეყანას აწი თქვენ მიხედეთ. იფიქრა, ეს ნაცნაძირალები გონს მოეგებიან, მე რომ გადავდგები, დაწყნარდებიან, ქვეყნის მშენებლობაში ჩაერთვებიან, სამშობლო თუ უყვართ, ქვეყნისთვის გული თუ შესტკივათ, ითანამშრომლებენ ხელისუფლებასთან, ჰოდა, ქვეყანას ააშენებენო.

არ დაიჯერო, ბატონო ბიძინა, ესენი სამშობლოს მოყვარულნი კი არა, თემურ ლენგზე, მურვან ყრუზე, შაჰ-აბასზე, ბერქა ყაენზე ვერაგები და მაოხარნი არიან. ამ არამზადებს მოსახვეჭის გარდა, არაფერი აინტერესებთ. მარტო ერთ მაგალითს დაგისახელებთ: სააკაშვილის ხელისუფლებამ ქვეყნის მეორე ინდუსტრიული ცენტრი რუსთავი გააჩანაგეს და გააპარტახეს. ასსამოცდაათასიანი ქალაქი ნაცარტუტად აქციეს. 44 სამრეწველო საწარმოდან ორი თუ სამი, ისიც სულს რომ ღაფავს ისეთი, დაუტოვეს. ქალაქს ფუნქცია დაუკარგეს, ყველაფერს აკეთებდნენ საიმისოდ, რომ ქვეყნის აღმოსავლეთის ციხებურჯი, ბასტიონი მოეშალათ და სახელმწიფო საზღვარი ყოფილ სონღანლუღამდე, ანუ დღევანდელ ფონიჭალამდე გადმოეტანათ.

ეს ერთი მაგალითი, სხვები რომ ჩამოვთვალო, თუნდაც ქვემო ქართლიდან, ჩვენი გაზეთის მთელი ნომერი არ ეყოფა.

ბატონო ბიძინა, ქვეყნის ამ ახალგამომცხვარმა პრეზიდენტმა მარგველაშვილმა რომ იმედი გაგიცრუათ, არც ეს არის ქართველებისთვის ახალი, ჩვენს ქვეყანაში შადიმანებს რა გამოლევს. ისე, ჩვენში დარჩეს და, შადიმანი სააკაანთ ბიჭთან შედარებით ფრთიანი ანგელოზია. და ზოგჯერ მენანება კიდევაც, კაცს, რომელსაც სააკაშვილის დანაშაულებრივი ქმედების მეათედიც კი არ მიუძღვის სამშობლოს წინაშე, დღევანდელი ნაციონალების ბოროტების საზომად რომ იყენებენ.

ჰოდა, ბატონო ბიძინა, უცდომელი მხოლოდ უფალია, რა გაეწყობა, თუ გიორგი არ გამოგადგათ, აგერ ბატონი ირაკლი (დიდი ერეკლეს სეხნია. ღმერთმა ქნას, მასავით სწორუპოვარი გამოდგეს) ნელ-ნელა იხვეჭს ხალხის სიყვარულს, პრინციპულია, რაც მთავარია, ხალასია, უმწიკვლო და უყვარს მშობელი ხალხი და ქვეყანა... თქვენს მიერ ხელდასხმული დავით ნარმანიაც სწრაფად ინადირებს დედაქალაქელთა გულებს... ჰოდა, ასე კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი. ასე რომ არა, ეს მრავალტანჯული საქართველო მოაქუამამდე, გარე მტრის კი არა, „მოყვასი“ ჯალათის ხელით ათასჯერ აღიგვებოდა.

ბატონო ბიძინა, ხალხმა იცის, გაითავისა, გაისიგრძეგანა, თქვენ რომ გებრძვიან, ის არაკაცები სამშობლოს მტრები და გამყიდველები არიან, მათ შორის ბევრია ჩემი უმცროსი კოლეგა ჟურნალისტიც, ესენი ფულზე იყიდებიან, ზოგს ვერც გაამტყუნებ. ოჯახი ჰყავთ სარჩენი, ჰოდა, გვარამიას დავალებას თუ არ შეასრულებს, მშიერი დარჩება, თუმცა, არც ამას აქვს გამართლება.

ბატონო ბიძინა, თქვენ რომ გვყავხართ, აქ რომ ხართ, რომ გვეგულებით, ეს ის იმედია, რომელსაც სამშობლოს ხვალინდელი დღე და ნათელი მომავლი რომ ჰქვია. აბა, რა დაგვავიწყებს იმ დღეს, როდესაც თბილისის გულში პირველად გამოჩნდით. ათასჯერ ნამიტინგარი, ნატყვიარი, დაწამლული ადამიანები მოვზღვავდით, გვერდით დაგიდექით და ის ლამპარი არ ჩაქრება, თქვენ რომ იმედად ჩამოგვირიგეთ.

ორ ათეულზე მეტი ხნის მანძილზე ნაძარცვ, ნაჩანაგებ, ნაოხარ ქვეყანას ფეხზე წამოდგომა რომ გასჭირვებია, ეს უნდა გვესმოდეს, მაგრამ ხელისუფლებამაც რადიკალური ნაბიჯები უნდა გადადგას. აი, ჩემს ქალაქში, ყოფილ საბჭოთა კავშირშიც კი უდიდესი ინდუსტრიული, თავისი მშომელებით, საინჟინრო პოტენციალით, ტექნიკური მეცნიერებით უაღრესად წარმატებულში ლამის სიცოცხლე ჩაკვდეს. აქ, ყოველ წელს 4 ათასი ახალგაზრდა ამთავრებს სკოლას, ათასამდე ჭაბუკი და ქალიშვილი — უმაღლეს სასწავლებელს. მათთვის მშობლიურ ქალაქში ერთი სამუშაო ადგილიც არ მოიძევება. ნახევარი საუკუნის წინათ სიჭაბუკის ქალაქად აღიარებულში დღეს მხოლოდ მოხუცები დაღინღილობენ. რომ იტყვიან, კომენტარი ზედმეტია. არადა, ხელისუფლება ჩვენსკენ არ იხედება. ბატონო ბიძინა, მინდა შეგახსენოთ სექტემბრის ის დღე, როდესაც პირველად ესტუმრეთ რუსთავს... ნაცებისაგან შეჭირვებულ, დატეტრორებულ-დაშინებულ ქალაქში იმგვარი ხალხმრავლობა ჩვენ, ადგილობრივებსაც გაგვიკვირდა. შუა მიტინგის დროს, როდესაც სიტყვას წარმოთქვამდით, საშინელი წვიმა წამოვიდა, იხვეწებოდით, დაიშალეთ — არ დაცივდეთო, მაგრამ კაციშვილი ადგილიდან არ დაძრულა. მაშინ თქვენ სიტყვა მოგვეცით, რუსთავს მოვხედავო...

თქვენ სიტყვის კაცი ხართ და გვჯერა თქვენი, ბატონო ბიძინა.

გივი ჯაახუა,
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ საკუთარი კორესპონდენტი ქვემო ქართლსა და რუსთავში.

P. S. იმ დღეს მეზობელი, ქვრივი და მარტოხელა ქალბატონი ეთერ ქირია შემხვდა, გამაჩერა დ შემომჩივლა, თუ გვეშველება რამეო.

— რა ხდება, — დავეკითხე.

— აბა, რა ვიცი, სახლში გამოკეტილს ტელევიზორი ვერ ჩამირთია, იქიდან საშინელება იფრქვევა. ლამის არის გული გამისკდეს, ჯოჯოხეთში მამყოფებენ!

ვერაფრით ვანუგეშე.

აი, ნიკოლოზ დევნოზაშვილი, ისიც თავის მეუღლესთან ერთად შინ გამოკეტილი პენსიონერი, ახლადნაყიდი რადიომიმღებით შემომეგება.

— მორჩა, ამ ტელევიზორებიდან დავისვენებ, აგერ სიმღერებს მაინც მოვისმენ, სატელევიზიო ნერვები უკვე აღარ მაქვს.

იმ დღეს „კავკასიაში“ დავით გიორხელიძე ჰყავდათ. ამ კაცის მჯეროდა, განათლებული, გონებაგახსნილი, ცხოვრებაში ჩახედული ექსპერტია. მაგრამ...

მაინც რა დაუშვა ასეთი ბატონმა ბიძინამ. ის ხომ არა, რომ თანამდებობა არ მისცა. არადა, რა ბოღმა აფრქვია, რა შხამი ანთხია, ვინატრე, იქნებ სადმე შორეთში გადამტყორცნოს უფალმა-მეთქი.

ბატონი დავით აქუბარდია კი თავს უქნევდა, როგორც სჩვევია და... კიდევ კარგი, ესემესებით ქოქოლა აყარა ორივეს მაყურებელმა.

გ. ჯ.

P. P. S. ჩემი ჭკუით სათქმელი დავასრულე, წერილი დავკეცე, გასაგზავნად გავეშურე, რომ ჩვენი ძველი მეგობარი, ქვეყნის მოჭირნახულე და მამულიშვილი, ბიზნესმენი კაცი შემხვდა და მოყვითალო ფურცელზე ჩამოწერილი რეცეპტისმაგვარი ქაღალდი მომაწოდა: „ბოღმის პარტია, ზიზღის პარტია, სიძულვილის პარტია, ბოროტების პარტია, ეს ნაცნაძირალები როდემდეს უნდა ვითმინოთ, ესენი ერში შუღლსა და მტრობას აღვივებენ, იციან, რომ ვერასოდეს ვერ დაბრუნდებიან და ახლა იმის ცდაში არიან, ქვეყანა როგორმე არიონ, დაანგრიონ, რაც დაუნგრეველი დარჩათ. მოვუწოდებ ყველას, ვისაც, ჯერ კიდევ აქვს საღი აზროვნება, აღვდგეთ, მკლავები დავიკაპიწოთ და მუშტები დავაზილოთ გვერდებში სააკაშვილის ამ გათახსირებულ ნაძირალებს“.

— შენებურად შეაფერადე და დაწერე, აუცილებლად გამოაქვეყნეო.

არც არაფერი შემიფერადებია, ცოტა უხერხული გამონათქვამები, მასაც რომ არ სჩვეოდა, ისეთი სიტყვები გამოვაკელი და დავუმატე ჩემს წერილს.

გ. ჯ.

სავიზო რეჟიმი, ირანი და თერძი დიპლომატიაში



დღე ისე არ ჩაივლის, ხელისუფლებამ ახალი გადაწყვეტილებებით არ „გაგვახაროს“. ერთობ გაუარესებული „რეფორმები“, რომ მძიმე ტვირთად აწვება ქვეყნის მოსახლეობას, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, თუნდაც წამლებზე რეცეპტის შემოღება რად ღირს.

იყო სახელმწიფოს ჩაურევლად ჩამოყალიბებული სააფთიაქო სისტემა და ნაცვლად გაუმჯობესებისა, ანუ ფასების დაკლებისა, ისეთი რამ მოიფიქრეს, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა და მისმა ხელქვეითებმა, რომ აფთიაქში ექიმის სამსახურის გაჩენას შეუწყვეს ხელი.

მაგრამ ყველა აფთიაქს რომ საკუთარი ექიმის ყოლის შესაძლებლობა არ აქვს? „სარეცეპტო რეფორმას“ რატომღაც გამორჩა ვეტერინარული სამსახური, რამაც სერიოზული პრობლემები შეუქმნა მესაქონლეობით დაკავებულ ფერმერებს, რომ აღარაფერი ვთქვათ შინაური ცხოველების პატრონებს. „ეს საკითხი გასარკვევიაო“, – ბრძანეს ჯანდაცვის სამინისტროში, მაგრამ ვიდრე რამეს გაარკვევენ, არაერთი ოთხფეხი გაუყვება საიქიოს გზას.

სხვა „რეფორმები“ ისეთია, ავ თვალს რომ არ ენახვება. საშინაო „რეფორმები“ აღარ იკმარეს და ახლა ისეთ „რეფორმებს“ მიადგნენ, პრობლემებს რომ უქმნის ქვეყანას. ერთ-ერთი სავიზო რეჟიმის გამკაცრებაა. ცხადია, ამ დარგში იყო რაღაც შესაცვლელი – გაუმჯობესების მიზნით, მაგრამ ხელისუფლების სურვილი საქმის გაუმჯობესების თაობაზე, რომ საქმის გაუარესებით თავდება, ფაქტია.

საკითხი, სავიზო სისტემას და მასთან დაკავშირებულ კანონს ეხება, რომლის მიხედვითაც, მთელ რიგ ქვეყნებს საქართველოში უვიზო შემოსვლის ნება დაერთოთ. მათი რაოდენობა ძალიან ბევრია და მათ შორის ისეთებიც არიან, საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობაც ხეირიანად რომ არც იციან, მაგრამ, ვინც იცის, მკაცრ სავიზო რეჟიმში მოხვდა.

სამწუხაროდ, მათ შორის არ არის ქვეყანა, რომელიც თითქმის მეზობლად ითვლება და რომელთანაც საუკუნოვანი ურთიერთობები ჰქონდა საქართველოს. მართალია, ხშირად ეს ურთიერთობები მწარეც იყო ჩვენთვის, მაგრამ ისტორიის მანძილზე ძნელად მოიძებნება ქვეყნები, რომლებსაც დღემდე ტკბილი ურთიერთობები ჰქონიათ.

ეს ქვეყანა ირანის ისლამური რესპუბლიკაა, ლამის 80-მილიონიანი მოსახლეობით, წარმატებული ეკონომიკით, მრეწველობით, სოფლის მეურნეობით, სამედიცინო და განათლების სისტემით, ხელოვნებით და ა.შ. ბოლო წლების განმავლობაში არც ერთი საერთაშორისო კინოფესტივალი არ ჩატარებულა, რომელზეც ირანის კინემატოგრაფიას ჯილდო არ მოეპოვებინოს.

ირანის როლი რეგიონისა და მსოფლიო პოლიტიკაში მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთის საქმეებში. ირანის ავტორიტეტს იზიარებს რეგიონის ქვეყნების უმრავლესობა, ზოგიც ცნობილი მიზეზების გამო, არ იზიარებს მათ შორისაა ისრაელი.

ირანი მხარს უჭერს სირიის ოფიციალურ ხელისუფლებას, ბაშარ ასადის მეთაურობით და სერიოზულ დახმარებას უწევს, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. ირანი მხარს უჭერს პალესტინის ორგანიზაცია „ჰამასს“ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში, რაც ისრაელის გულისწყრომას იწვევს.

ირანი მხარს უჭერს ანტიისრაელურად განწყობილ და პალესტინელთა სამართლიანი ბრძოლის მხარდამჭერ ლიბანის „ჰესბოლას“.

ირანის დამოკიდებულება ისრაელის მიმართ მძიმეა. შაჰ ის ირანისა და ისრაელის საკმაოდ მეგობრული და პრაგმატული ურთიერთობები, ირანის ისლამური რევოლუციის შემდეგ მკაცრ დაპირისპირებაში გადაიზარდა. ისრაელისთვის ირანი ნომერ პირველი მტერია, რომელიც აპირებს ბირთვული ბომბების შექმნას ისრაელის გასანადგურებლად. არადა, პატარა ისრაელის, თუნდაც ბირთვულბომბიანის, განადგურება ირანს არ გაუჭირდება. ასე რომ, ერთია რიტორიკა და მეორეა პრაქტიკული ქმედება.

ირანის ისლამური რესპუბლიკა, დღიდან რევოლუციისა, აითვალწუნა აშშ-მა. 30 წელიწადზე მეტია, ამერიკა-ირანს შორის გაწყვეტილია დიპლომატიური ურთიერთობები. ამერიკა ირანის მიმართ აწარმოებდა და აწარმოებს ფარულ თუ ღია ომს.

ვაშინგტონის პოლიტიკოსთა ძალისხმევით ირანის წინააღმდეგ ამოქმედებულია მძლავრი პროპაგანდისტული მანქანა. მისი მიხედვით, ირანი არის აშშ-ის ნომერ პირველი მტერი, ტერორისტული ორგანიზაციების დამფინანსებელი, ისრაელის სახელმწიფოს მიწისაგან პირისა აღგვის მსურველი, ბირთვული იარაღის შექმნაზე მომუშავე ქვეყანა. გარდა ამისა, ადამიანის უფლებების უხეში დამრღვევი, ტოტალიტარული სახელმწიფო.

აშშ-ის თაოსნობით, გაეროს უშიშროების საბჭომ ოთხჯერ მიიღო ირანის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციები. სანქციების მიზანი – ირანის მიერ ბირთვული კვლევების წარმოების შეჩერება და ბირთვული იარაღის შექმნაში ხელის შეშლაა. და ეს ყველაფერი იმ ფონზე, როდესაც ირანის ისლამური რესპუბლიკის სულიერი ლიდერი და მეთაური აიათოლა ჰამენეი დაბეჯითებით აცხადებს, რომ გმობს მასობრივი განადგურების იარაღის არსებობას.

აიათოლა ჰამენეის ფეტვათი აკრძალულია ბირთვული იარაღის შექმნა, მაგრამ აშშ, საერთოდ დასავლეთი, მხოლოდ საკუთარი არშინით ზომავს საკითხებს. მას ჰგონია, რომ ფეტვას არსი ისეთივე არასანდოა, როგორიც მათ მიერ მიღებული, თუნდაც ხელმოწერილი შიდა თუ გარე მოხმარების იურიდიული დოკუმენტი.

ის, რომ აშშ ზერელედ უყურებს ნებისმიერ საერთაშორისო შეთანხმებას, ნატოს უელსის სამიტზეც გამოჩნდა. აღმოსავლეთ ევროპაში „სწრაფი რეაგირების ძალების“ განთავსება, მეტი არაფერია, თუ არა ამერიკა-რუსეთს შორის 1997 წელს გაფორმებული ხელშეკრულების ფეხებზე დაკიდება, რომლის მიხედვით, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, რუსეთის საზღვრებთან იკრძალება ნატოს ბაზების განთავსება.

აშშ-ს არ სჯერა ირანის სამშვიდობო პოლიტიკის. მას მიაჩნია, რომ ირანი არ უნდა ეხმარებოდეს სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადს. ის ისეთივე დამჯერი და თვინიერი უნდა იყოს, როგორც შაჰ რეზა ფეჰლევის დროს. მაშინდელ ირანს, საერთაშორისო პოლიტიკა, რეგიონში აშშ-ს ქოფაკად მოიხსენიებდა.

ამერიკელთა ინიციატივით დაწესებულმა სანქციებმა სერიოზულად დააზიანა ირანის ეკონომიკა, მაგრამ ირანის მოსახლეობის პატრიოტული სულისკვეთება ვერ გატეხა. ამერიკელთა უკვე სასაცილოდ ნათქვამი ფრაზა – სანქციები მთავრობის წინააღმდეგ არის მიმართული და არა ირანელი ხალხის – ცინიზმია და მეტი არაფერი.

ირანის ხელისუფლება სანქციებით არ დაზარალებულა, ხალხმა კი სერიოზული პრობლემები იგემა. აქვე აღვნიშნავ რუსეთის, გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრის როლზე. მართალია, მან ბევრი იღონა ირანისთვის სანქციების თავიდან აცილებაზე, მაგრამ არა იმდენი, რომ სანქციები არ შემოეღოთ.

დღეს, თვით რუსეთი აღმოჩნდა მკაცრ სანქციებში აშშ-ის და ევროკავშირის მხრიდან. ამერიკა-ევროკავშირმა სანქციები გაეროს უშიშროების საბჭოს გვერდის ავლით დააწესა. უშიშროების საბჭოში, რუსეთის მუდმივი წევრობის გამო, სანქციების მიღება შეუძლებელი იყო.

კასპიის ზღვისპირა სახელმწიფოები ა.წ. სექტემბრის 29-ში გეგმავენ მოსკოვის სამიტს, რომელიც შეიძლება მოვიაზროთ, როგორც მორიგი შეხვედრა და არა საბოლოო, კასპიის ზღვის აკვატორიის დანაწილების საქმეში. ასე რომ, „ნაბუკოს“ მილსადენის თურქმენული გაზით შევსების საქმე ჯერაც გადაუწყვეტელია.

თავის დროზე ირანული გაზის გამოყენების საკითხი ამერიკის მხრიდან ტორპედირებული იყო. დღეს, სხვა ვითარებაა, რაც თავისთავად ააქტიურებს ირანის გაზის ევროპაში ტრანსპორტირების საკითხს. თუმცა, აქვე დავძენ, თუ ეს მოხდა, ირან-თურქეთის გაზსადენი იქნება გამოყენებული და არა „ნაბუკოს“ პროექტი, რომელიც საქართველოზე გადის.

ზემომოყვანილი მაგალითი და სხვა მსგავსი მიანიშნებს იმაზე, რომ მსოფლიო პოლიტიკაში ვითარება სწრაფად იცვლება. გუშინდელი მოწინააღმდეგეები დღევანდელ პარტნიორებად იქცევიან და შებრუნებით. აი, რაც შეეხება „ოცნების“ პოლიტიკას, „სალ კლდესავით“ ურყევია, რითაც მტკიცდება მისი მოუქნელობის ამბავი. აქაოდა, ამერიკა-ისრაელმა აუგი არ გვითხრან ირანთან უვიზო მიმოსვლის დაწესებასთან დაკავშირებითო, ამ უზარმაზარ მეზობელთან, მსოფლიო პოლიტოკაში მოთამაშე ქვეყანასთან, სავიზო რეჟიმი დააწესა.

არადა, სააკაშვილის დროს, ირანის მხარის ინიციატივით, ამოქმედებულმა უვიზო მიმოსვლამ არა მარტო ტურიზმის განვითარებას შეუწყო ხელი, არამედ ირანული ბიზნესის გაფართოებას, ქვეყანაში უცხოური კაპიტალის შემოსვლას, ირანელთა მხრიდან უძრავი ქონების, სახლების, ბინების შეძენას და სხვა. ირანელები მზად იყვნენ მილიონობით დოლარი ჩაედოთ საქართველოს სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტის სისტემის დახვეწაში, საერთოდ ეკონომიკაში.

„ოცნების“ ხელისუფლებამ, დღიდან მოსვლისა, ცალმხრივად გააუქმა უვიზო ხელშეკრულება და ირანელებს სავიზო რეჟიმი დაუწესა. რაც შეეხება ირანის მხარეს, ის, არ აჰყვა საქართველოს ხელისუფლების ქარაფშუტობას და ირანში ჩასასვლელად საქართველოს მოქალაქეებს კვლავ უვიზო მგზავრობა დაუტოვა, ალბათ, იმის იმედით, რომ ქართული მხარე გონს მოეგებოდა და შეცვლიდა მის გადაწყვეტილებას.

ამაოდ, პირიქით, „ოცნების“ ხელისუფლებამ ირანთან სავიზო რეჟიმის შემოღება დააკანონა კიდევაც და არა მარტო სავიზო რეჟიმი შემოიღო, არამედ ირანელებს აუკრძალა საბანკო ოპერაციები, რითაც ნულზე დაიყვანა ბიზნესკავშირები. ყოველივე ამან გამოიწვია საქართველოში ირანიდან ევროების შემოსვლის შემცირება, ირანული ბიზნესის საქართველოდან წასვლა, ტურიზმის შემცირება და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ირანელთა პოლიტიკურ განწყობაზე დაღის დასმა.

არადა, ირანი სწორედ ის ქვეყანაა, რომელმაც დამოუკიდებლობის პირველ მძიმე წლებში მეგობრული დახმარების ხელი გამოგვიწოდა. ირანი ის სახელმწიფოა, ვინც მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და ამ საქმეში დიდ დახმარებას უწევს საქართველოს გაეროში.

ირანი ის ქვეყანაა, ვინც მტკიცედ იბრძვის ტერორიზმის, ექსტრემისტული, ვაჰაბიტური, სალაფიტური რადიკალური ისლამის წინააღმდეგ. ირანული შიიზმი, საერთოდ შიიზმი, ისეთივე შეტევას განიცდის რადიკალური ისლამისგან, როგორც ქრისტიანობა, მართლმადიდებლობა. საქმეში ჩახედული სპეციალისტისთვის ძნელი არ არის ამოიცნოს ის საერთო სულიერი ფაქტორი, რაც არსებობს შიიზმსა და მართლმადიდებლობას შორის. ამით ხომ არ იყო განპირობებული მისი უწმიდესობის და უნეტარესობის ილია მეორის მეგობრული ვიზიტის წარმატება ირანში?!

ირანს ოფიციალურ ვიზიტად სწვევია საქართველოს პრეზიდენტები შევარდნაძე, სააკაშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრები, სხვა უწყებათა ხელმძღვანელები, პარლამენტარები. ხშირი იყო ირანის მაღალი რანგის დელეგაციების ვიზიტები საქართველოში, მათ შორის მამაცყოფდი პრეზიდენტ რაფსანჯანის ვიზიტს გასული საუკუნის 90-იან წლებში.

და აი „ოცნების“ ხელისუფლების მიერ ირანის სრული იგნორირება. ორი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთი ვიზიტი, თანაც პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარის თედო ჯაფარიძის. მიუხედავად ჩემი ბატონ თედოსადმი ღრმა პატივისცემისა, ირანი გაცილებით მეტ ყურადღებას იმსახურებს.

„ევრო-ატლანტიკურებად“ გადაქცეულ ხელისუფლებას, რომელსაც მზე და მთვარე ვაშინგტონ-ბრიუსელზე ამოსდის, დრო აღარც რეგიონის ქვეყნებისთვის რჩება და აღარც სხვისთვის, რაც აშკარად მეტყველებს მის პოლიტიკურ უმწიფრობაზე. სამმილიონ ნახევრიან ქვეყანას დრო არ რჩება 80-მილიონიანი ქვეყნისთვის?! სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

წინა წერილში, რომელიც სირია-ერაყის ტერიტორიებზე შექმნილ „ისლამის სახალიფოს“ მივუძღვენი, აღვნიშნე იმ სერიოზული საფრთხის შესახებ, რაც შეიძლება მოგვიტანოს „სახალიფოს“ გეგმებმა. მისი მიხედვით, კავკასია გავლენის სფეროდ ითვლება და პუტინისადმი გაგზავნილ მიმართვაში ომიც იგეგმება, როგორც ჩეჩნეთში, ისე კავკასიაში.

არაბული მონაცემების მიხედვით, „ისლამური სახალიფოს“ ძალებში აქტიურად იბრძვიან თითქმის 500-მდე საქართველოს მოქალაქე სირიის ლიდერის ბაშარ ასადის წინააღმდეგ. ეს მებრძოლები დღესაც „სახალიფოში“ არიან და ყველა მათგანის, ისე, როგორც „სახალიფოში“ მცხოვრები 80 ქვეყნის მოჯახედის ვალია „წესრიგი დაამყაროს“ თავთავიანთ ქვეყნებში.

„წესრიგის დამყარების“ არეალი კი დიდია – ჩინეთიდან ესპანეთამდე. გვიშველის ამ პროცესში აშშ ან ევროკავშირი? ეჭვი მეპარება. მათ თავიანთი გასაჭირი აქვთ. ასობით და ათასობით ინგლისელი, გერმანელი, ფრანგი, ამერიკელი, სხვა ერის წარმომადგენელი არის ჩართული „სახალიფოს“ „წმინდა“ ბრძოლაში ურჯულოთა წინააღმდეგ.

ვის შეუძლია გაუწიოს წინააღმდეგობა „ისლამური სახალიფოს“ გამოხდომებს რუსეთში, კავკასიასა და ირანში? – მართლმადიდებლობას, რუსული, ქართული, სომხური ეკლესიებისა და ირანის შიიზმის მტკიცე კავშირს.

მხოლოდ რელიგიური და, ამასთანავე, პოლიტიკური რკალი შეიძლება გადაეღობოს „სახალიფოს“ შორსმიმავალ გეგმებს. ამ რკალის შესაქმნელად მუშაობაა საჭირო და არა ურთიერთის გაღიზიანება, თუნდაც ისეთი საკითხით, როგორიცაა ვიზის შემოღება. მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით იქნება შესაძლებელი ომის აგორების მუქარის დაძლევა.

„ჩვენ გავაუქმეთ ვიზების საზღვრებზე გაცემა“, – ბრძანა იუსტიციის მინისტრმა წულუკიანმა. კაცმა რომ თქვას, ვინ არის ამ საკითხში იუსტიციის მინისტრი? სად არის საგარეო საქმეთა სამინისტრო და მისი საკონსულო დეპარტამენტი?

სამწუხაროდ, თერძის საქმეს მშენებელი ასრულებს, გინეკოლოგის – პროგრამისტი. საკონსულო საკითხები, მითუმეტეს სავიზო, მხოლოდ საგარეო უწყების საკონსულო სამსახურის ფუნქციაა და არა იუსტიციის სამინისტროს. მხოლოდ საკონსულო სამსახურის პრეროგატივა უნდა იყოს ამა თუ იმ ქვეყანასთან სავიზო თუ უვიზო მიმოსვლის დაწესება, გადასახადების შემოღება და ა.შ. ეს პრაქტიკა არსებობდა 1994 წლიდან 1999 წლის ჩათვლით, თქვენი მონა-მორჩილის საკონსულო დეპარტამენტის დირექტორად ყოფნის დროს.

სავიზო მიმოსვლა და ტარიფები ორი ქვეყნის საკონსულო შეთანხმების ნაყოფია და არა ვინმეს, თუნდაც იუსტიციის მინისტრის ფანტაზიის. აქვს რომელიმე ქვეყანას ჩვენი მოქალაქეებისთვის დაწესებული უვიზო შესვლა და მეც ვალდებული ვარ მქონდეს ასეთი; აქვს ქვეყანას სავიზო მიმოსვლა დაწესებული ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებისთვის და მეც ვალდებული ვარ მქონდეს ასეთი. ვიზის გაცემა - პოლიტიკაა და არა მექანიკური პროცედურა.

ვიზების გაცემის ვადები და გადასახადი პარიტეტული უნდა იყოს. ამაშია ქვეყნის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის სიღრმისეული არსი და არა იმაში, რომ ევროპა-ამერიკის ასზე მეტ ქვეყანას ცალმხრივად უვიზო და თან უფასო შემოსვლა დაუწესო, მაშინ, როდესაც ისინი ვიზასაც რის ვაი-ვაგლახით გასცემენ შენს მოქალაქეზე, ხშირ შემთხვევაში უვიზოდაც ისტუმრებენ და პროცედურაში ფულსაც გახდევინებენ.

პირადად მე შემოვიღე საზღვრებზე ვიზების გაცემა. ეს პრაქტიკა სწორედაც ევროპის ქვეყნებიდან გადმოვიღე. საზღვრებზე ვიზების გაცემა იყო პარიტეტულ საფუძველზე, მაგალითად სარფში ან თბილისის აეროპორტში თურქეთის მოქალაქეებზე გაიცემოდა საქართველოს ვიზა. ანალოგიური რამ ხდებოდა საქართველოს მოქალაქეებისთვის თურქეთის საზღვრებზე.

დღეს, ეს წესი გაუქმდა. მაგალითად, **ირანის მოქალაქემ ვიზის ასაღებად ირანში საქართველოს საელჩოს უნდა მიმართოს. „ეს წესი დაგვიცავს არასასურველი ელემენტების შემოსვლისგანო“ – ბრძანა საკონსულოს შეფმა. კეთილი, მაგრამ საელჩოში პასპორტის გარდა, რას სთხოვენ ირანის მოქალაქეს? საელჩო ხომ შსს არ არის, სერიოზული კვლევა რომ ჩაატაროს? ან რა დრო დასჭირდება ამას? პროცედურა იგივეა, რაც საზღვარზე ვიზის გაცემისას. ასე რომ, ხელოვნურად, უგუნურად ვირთულებთ და ვურთულებთ საქმეს უცხოელს.**

სულ ახლახან საქართველოს საზღვარს მომდგარი სატვირთო ავტომანქანების კოლონა ქართველმა მესაზღვრეებმა უკან გააბრუნეს – ვიზას საზღვარზე აღარ გავცემთო, თეირანში, საქართველოს საელჩოს მიმართეთო. რა ჰქვია ამას, თუ არა საქმის არცოდნა, გულგრილობა, არაპროფესიონალიზმი?!

წულუკიანი ამ შემთხვევაში ის თერძია, რომელიც დიპლომატიის საქმეს „აკეთებს“, მაგრამ დიპლომატიის საქმეს რომ „აკეთებს“, ისიც რომ თერძია?!

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

ანზორ მაისურაძე: ჩვენს ქვეყანაში ჯერ

უშიშროების გენერალ-მაიორი ანზორ მაისურაძე



— რატომ ამბობდით უარს, ბატონო ანზორ?

— აზრი არ აქვს ინტერვიუს მიცემას. რაც გინდა თქვა, ვინც გინდა თქვას, რაც გინდა დაიწეროს ან ტელევიზიით გადაიცეს, რაც გინდა ინფორმაცია მიაწოდო ქვეყანას, არანაირი შედეგი არ მოჰყვება. წერე და იკითხეო, ნათქვამი რომ არის, ისეა.

— რატომ ხდება ასე?

— არ ვიცი. მაგრამ ჩვენს თაობას ხომ ახსოვს, გაზეთში ერთი კრიტიკული წერილი რომ დაიბეჭდებოდა, ქვეყანა აზანზარდებოდა, ყველა სახელმწიფო დაწესებულება ფეხზე დგებოდა. ღვთის რისხვასავით იყო ყველასთვის. ახლა, რაც გინდა დაწერე, არანაირი ფასი არ აქვს. ამდენი გაზეთი გამოდის, ამდენი მართლაც საინტერესო და ფასეული რამ იწერება, მაგრამ — ვითომც არაფერი. ერთ სახელმწიფო ყურში შეუშვებენ, მეორიდან გაუშვებენ.

— სააკაშვილი საერთოდ არ ეცნობოდა პრესას და თანაგუნდელებსაც ამისკენ მოუწოდებდა. ახალი ხელისუფლება დაგვპირდა, რომ შეიქმნებოდა სპეციალური სამსახური, რომელიც პრესაში გამოთქმულ მოსაზრებებს მიადევნებდა თვალყურს...

— შეიძლება კიდეც შეიქმნა, მაგრამ გამოდნა რამე აქედან?! სამაგიეროდ, ენდიაის და სხვა მსგავსი კვლევითი ცენტრის პუბლიკაციებს ისე დაჰკანკალებენ, როგორც ბიბლიურ ბრძენთა ჭეშმარიტებას. ამასთან, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ „ნაცების“ ნებისმიერ ნათქვამზე რეაგირება უპირველეს საქმედ გაიხადეს.

— რისი ბრალია, ბატონო ანზორ?

— ცხოვრებამ მოიტანა. ყველა ყველაფერზე ლაპარაკობს, ყველა გაზეთი ყველაფერზე წერს და არავინ თავს არ იწუხებს, შეამოწმოს, რამდენად სარწმუნოა ინფორმაცია, რომელსაც მკითხველებს აწვდიან. ამიტომაც კატასტროფულად დაეცა მედიისადმი ნდობის დონე. ფასი დაკარგა ინფორმაციამ. არადა, ხომ საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ყველაზე ძვირად ღირებული საქონელი დღეს სწორედ ინფორმაციაა — ქვეყნისთვის, ხალხისთვის, საქმისთვის.

— ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს გადაბრუნებულ რეალობაში ვცხოვრობთ, სადაც ყველაფერი არაფერია, არაფერი — ყველაფერს მოიცავს.

— ზოგჯერ მართლაც ასეთი შთაბეჭდილება იქმნება.

— მოკლედ, სახელმწიფოსა და მასმედიის ურთიერთობაში, როგორც დანიის სამეფოში, ყველაფერი რიგზე არ არის. ბატონი ბიძინა ივანიშვილი პრესის კონტროლის საჭიროებაზე ალაპარაკდა, მაგრამ როგორ უნდა განხორციელდეს კონტროლი, როცა ქვეყანაში ცენზურა, მედიის იძულების ბერკეტები არ არსებობს და სიტყვის თავისუფლების პრინციპი დემოკრატიის აუცილებელ შემადგენლად არის აღიარებული?

— ჯერ ის ვთქვათ, რომ მედიაში თავაშვებულობას აქვს ადგილი. დემოკრატიის პრინციპების ერთგული ჟურნალისტი თავს უფლებას არ მისცემს, დაწეროს ის, რაც ქვეყნისთვის საზიანო იქნება. პოლიტიკოსებიც კი ზოგჯერ ისეთ რამეს იტყვიან და აკეთებენ, რასაც მთელ ქვეყანაში უზარმაზარი უარყოფითი რეზონანსი მოჰყვება, ამიტომ კონტროლი სულ უფრო აუცილებელი ხდება. მაგრამ ცენზურითა და აკრძალვით ვერაფერს მივაღწევთ. არა მგონია, ივანიშვილმა ეს არ იცოდეს.

კრიტიკისგან კი არავინ და არაფერი, მათ შორის, თქვენი ამქრის წარმომადგენლები, დაცულნი არ არიან. როგორც უწინ ამბობდნენ, „ჯანსაღი კრიტიკა“ საერთო საქმეს, მათ შორის, მედიის ხარისხიანობის ამაღლებას მხოლოდ წაადგება.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უშიშროების საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორის მოადგილემ, რომელიც რუსეთთან კონტაქტების საკითხებზე საუბრობდა, განაცხადა: „ყოფილი საბჭოთა კავშირიდან ჩვენთან ჩამოვიდნენ მაღალგანათლებული ადამიანები გარყვნილი გონებით“.

ვისზე საუბრობდა ის მაღალი რანგის მოხელე და დაზვერვის პროფესიონალი, ამჯერად საინტერესო არ არის. ეს შემთხვევა გავიხსენე პარალელის გასავლებად იმ ახალგაზრდებთან, რომლებიც „ვარდების რევოლუციის“ ძალით ქვეყნის სათავეში მოვიდნენ — უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდები გარყვნილი გონებით. ცხადია, ყველაზე არ ვლაპარაკობ.

მათგან ზოგიერთი დღესაც ხელისუფლებაშია.

— ვის გულისხმობთ?

— დამიგდეთ ყური. გარყვნილი გონების არის ის პიროვნება, რომელიც ამბობს, რომ საქართველოში ხევსურები მტერს მარჯვენას იმიტომ აჭრიდნენ, რათა შემდეგ ეჭამათ ადამიანის ხორცი. კანიბალობას გვაბრალებს ქართველებს.

გარყვნილი გონების არის ის პიროვნება, რომელიც ვაჟა-ფშაველას სექსუალურად დაავადებულ კაცად წარმოგვიდგენს, რომელიც ქალებზე ძალადობას მათი ქმრების წინაშეც არ ერიდებოდა.

რომ ასეთ ქალთა შორის იყო სოსო ჯუღაშვილის დედა ეკატერინე, და რომ იოსებ სტალინი ვაჟას ნაბუშარია(!).

ამ ავადმყოფურ იდეებს, ნაბოდვარს ეს კაცი სტუდენტებს ასწავლის. ესაა უბედურება და ცრუ ლიბერალურ ფასეულობათა მიმდევრობის შხამიანი ნაყოფი.

არ უნდა გავაკრიტიკოთ ასეთი კაცი, რადგან იგი მმართველი გუნდის წარმომადგენელია?!

ერთ რამესაც გეტყვით, თავისთავად არაფერი ხდება, მათ შორის, ჩვენი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. დესტაბილიზაციის მაპროვოცირებელი ყველაზე მძლავრი და მასობრივი საშუალება, მოგეხსენებათ, მედიაა. ვისაც ხელს არ აძლევს ქვეყანაში არსებული მდგომარეობა, ვინც ვერ ელევა დაკარგულ ძალაუფლებას, ის აქტიურად იყენებს ამ საშუალებას.

— ოპოზიციურობა დემოკრატიის ნიშანია...

— და კარგი საფარიც რევანშისტული მიზნების დასამალად.

ამასწინათ ითქვა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს უნდა გამოეყოს უშიშროების სამსახური. რა თქმა უნდა, გამოყოფა აუცილებელია. სწორედ უშიშროებს სამსახურის მოვალეობაა, იცოდეს, როგორი პროცესები ვითარდება ქვეყნის შიგნით, გააანალიზოს ეს პროცესები და შესაფერისი დასკვნები და წინადადებები შესთავაზოს ხელისუფლებას. წინასწარ უნდა იცოდეს მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ, რომლებიც ქვეყნის შიგნით ვითარდება, ან გარედან მოდის.

ცხოვრებამ დაამტკიცა, რომ ნებისმიერ ჟურნალისტს, მოსყიდული თუ არ არის, რიდი უნდა ჰქონდეს თავისი სახელმწიფოსი. ასეთი რიდის არარსებობის პირობებში სპეციალურმა სამსახურმა უნდა დაიცვას სახელმწიფოს უშიშროება და ინტერესები.

— რახან სახელმწიფო უშიშროების საკითხს შეეხეთ, მოდით, გავიხსენოთ, რომ „საქართველო და მსოფლიოსთვის“ მიცემულ ერთ-ერთ პირველ ინტერვიუში თქვენ ამბობდით, რომ ყოფილმა ხელისუფლებამ მოშალა და მოსპო დაზვერვისა და კონტრდაზვერვის სამსახური, რადგან, მისი აზრით, შექმნილ ვითარებაში ამ სტრუქტურის არსებობა აუცილებელი არ იყო.

— როცა „ვარდების რევოლუციის“ გზით მოსულმა ხელისუფლებამ გააუქმა უშიშროების უმაღლესი სასწავლებელი, ეს იყო პირველი ნიშანი იმისა, რომ საკაშვილი და მისი გუნდი ქვეყნის უშიშროებას ანდობდა სხვა ქვეყნის სპეცსამსახურებს, კერძოდ, აშშ სათანადო სტრუქტურების ხელში აგდებდა სახელმწიფოს მართვის ამ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს. ამიტომ საჭიროებაც მოიხსნა სპეციალური კადრების მომზადების.

მაშასადამე, უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებს მიეცათ სრული კარტბლანში, ისე წარემართა, ისეთ კვალში ჩაეყენებინათ საქართველოს ხელისუფლება, როგორც სურდა აშშ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს.

აგზავნიან ჩვენებურებს უცხოეთში ორ-სამთვიან მოსამზადებელ კურსებზე, სადაც ასწავლიან იმას, რაც სხვის ინტერესებშია და საერთო არაფერი აქვს ჩვენი ქვეყნის მიზნებთან და მისწრაფებებთან.

— გადაბირებას გამორიცხავთ?

— დაბეჯითებით ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ იმას კი მოგახსენებთ, რომ ასეთ შესაძლებლობას არავინ ხელიდან არ გაუშვებს. ეს ელემენტარულია.

— თქვენს პრაქტიკაშიც ასე იქცეოდით?

— სწორედ ჩემი გამოცდილება მიკარნახებს ამას.

— ფრანგმა ტელეჟურნალისტებმა თავის დროზე გადაიღეს ფილმი, რომელშიც გაშიშვლებულად დაგვანახეს „ვარდების რევოლუციის“ მამოძრავებელი ძალა, რომელიც ორგანიზაციულად და ფინანსურად აშშ სპეცსამსახურებით იყო წარმოდგენილი. როგორ ფიქრობთ, ამ ყბადაღებული „რევოლუციის“ წარმატების შემდეგ იმ სპეცსამსახურებმა „თავისუფალ ცურვაში“ გაუშვეს საქართველოში მათ მიერ დასმული ხელისუფლება?

— მიამიტური შეკითხვაა. არ მიწყინოთ. რომელი სერიოზული სპეცსამსახური, მით უფრო შტატების, დათმობს მოპოვებულ პოზიციებს?! „ნაციონალური მოძრაობა“ ნახევრად ფაშისტური პარტია, დიქტატორული პარტია იყო, რომელიც აკეთებდა იმას, რაც სურდა და გამკითხავი არავინ იყო, იმიტომ, რომ ამერიკული ზურგის იმედი ჰქონდა. ხომ ცნობილია, რომ სააკაშვილი სოროსის პროექტი იყო, ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებ.

— ეს პარტია კვლავ აპირებს ხელისუფლების სათავეში მოსვლას. შინაგან საქმეთა მინისტრის ახლახან გაკეთებულ განცხადებაში მითითებული იყო, რომ ნაცები ამზადებენ შეთქმულებას სახელმწიფო გადატრიალების მოსაწყობად. ამას მაინც და მაინც არც მალავენ. შეიძლება სახელმწიფო დანაშაულად ამის კვალიფიცირება?

— რა თქმა უნდა! ჩვენ თვალწინ მოხდა ის, რაც ლიბიაში კადაფის გაუკეთეს, რაც ეგვიპტეში, ერაყში დატრიალდა და სხვაგანაც, გაუთავებელი სისხლისღვრა სირიაში, ამის მომსწრე ყველანი ვართ. უკრაინის ტრაგედიაც ახლა ხდება. ჩვენს უახლოეს ისტორიას თავი რომ დავანებოთ! ეს ყველაფერი ერთი ხელით კეთდება, ერთი მმართველი ჰყავს. ერთი კაცის მიერ არის მოფიქრებულიო, ნათქვამი აქვს ჭაბუა ამირეჯიბს „დათა თუთაშხიაში“. სადაა ეს ერთი ხელი, ყველამ კარგად იცის. დამალული არაფერია. დარწმუნებული ვარ, რომ რაც ხდება, მოფიქრებულია ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ და არის ის, რასაც ჩვენს ენაზე „აქტიურ ღონისძიებებს“ უწოდებენ.

— რატომ სჭირდებათ დაულაგებელი საქართველო? აკი ჩვენს სასიკეთოდ იღვწის აშშ? დემოკრატიის განსავითარებლად, ცხოვრების დონის ასამაღლებლად და ა.შ.?

— საქართველო, მათი ჩანაფიქრით, ყოველთვის უნდა დარჩეს ისლანდიის ბარდარბურგის მოთუხთუხე ვულკანივით, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უნდა ამოიფრქვეს, როგორც ეს 2008 წლის აგვისტოში მოხდა, ისე, როგორც უკრაინაში ხდება დღეს. კიევის „მაიდანზე“ აშშ სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ვიქტორია ნულანდმა რომ ჩამოიარა, ღვეზელები რომ დაარიგა და ყოველმხრივი დახმარება რომ აღუთქვა მომიტინგეებს, ეს ფაქტი არაფერს გეუბნებათ? ვინ არის უკრაინაში სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზატორი?

— გინდათ თქვათ, რომ ამ შემთხვევაში სახელმწიფო დეპარტამენტსა და ცენტრალურ სადაზვერვო სამსახურს შორის დიდი განსხვავება არ არის და სახელმწიფო დეპარტამენტი (ღმერთო, მაპატიე!) ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ფილიალია?

— (იცინის) როდის არ იყო? ინგლისში, მაგალითად, საგარეო საქმეთა სამინისტრო და დაზვერვის სამმართველო ისეა ერთმანეთს გადაჯაჭვული და ერთმანეთში არეული, რომ ვერ გაიგებ, რომელი რომელია. აშშ-ში ცოტა განსხვავებულია, მაგრამ იქ ბევრნი არიან ისეთები, რომლებიც სახდეპში მუშაობენ და, ამასთან, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს შტატიანი თანამშრომლები არიან. პირდაპირ გეტყვით, საგარეო საქმეთა სამინისტრო, როგორც დასავლეთის ქვეყნებში, ისე ყოფილ საბჭოთა კავშირში დაზვერვის სამსახურის საფარად გამოიყენებოდა.

ახლაც ასეა.

— ბატონო ანზორ, ევროკავშირისა და აშშ-ის მიერ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებზე რას იტყვით?

— ამ სანქციების დამწესებლები მსოფლიოს უმტკიცებენ, რომ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული შეზღუდვები ემსახურება დემოკრატიის დაცვას, უცრაინის პრობლემების მოგვარებას, მშვიდობის დამყარებას და ა.შ. რომ ეს სანქციები შეიძლება კიდეც გაუქმდეს, როცა უკრაინაში დამყარდება სტაბილური მდგომარეობა, შეწყდება შეიარაღებული დაპირისპირება.

მაგრამ დააკვირდით, რა ხდება? მინსკის უმაღლეს დონეზე შეხვედრების საფუძველზე საკონტაქტო ჯგუფის მიერ მიღწეულია შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. ეს შეთანხმება სრულდება დაპირისპირებულ მხარეთა მიერ. და სწორედ ამ დროს ევროკავშირი და აშშ რუსეთს უწესებენ სანქციების ახალ პაკეტს.

— ალოგიკურია.

— არა. ალოგიკური არ არის. სანქციების დამწესებელთა მიზანი უკრაინაში მშვიდობის დამყარება კი არ არის, არამედ — რუსეთის პოზიციების შერყევა. პირველმა პაკეტმა რუსეთის პოზიციები არათუ ვერ შეარყია მნიშვნელოვნად, არამედ ახალი იმპულსი მისცა რესურსების უფრო სრულად გამოყენებას ქვეყნის შიგნით და საგარეო ურთიერთობაში აქცენტების აღმოსავლეთით გადატანას.

მაშასადამე, საჭირო გახდა სანქციების ახალი პაკეტის დაწესება.

მათი ლოგიკა, უფრო სწორად, ტაქტიკური მოქმედების ლოგიკა ასეთია.

სამართლის ზეობას ჯერობით ვერ ვხედავ

ძლივს დავითანხმე ინტერვიუს ჩამორთმევაზე.

უფრო მეტიც, ასეთია ლოგიკა გლობალური კაპიტალიზმის, რომელიც სულ უფრო აშკარად და მოურიდებლად განახორციელებს დამპყრობლურ პოლიტიკას.

ეს იმდენად თვალშისაცემია, იმდენად მიუღებელია საღად მოაზროვნე ანალიტიკოსებისთვის, რომ ყოფილი საბჭოთა დისიდენტებიც კი გამოდიან ამ ბოდვითი იდეის წინააღმდეგ.

— შეგიძლიათ დააკონკრეტოთ?

— რა თქმა უნდა! მაგრამ არ მგონია, რომ ორიგინალური ვიქნები. ვერც პირველობას დავიჩემებ.

მაგალითისთვის დაგისახელებთ დისიდენტური საქმიანობისთვის თავის დროზე საბჭოთა კავშირის მოქალაქეობა ჩამორთმეულ სოციოლოგ-ფილოსოფოსს, მწერალ-სარიტიკოსს, ლოგიკოსს ალექსანდრ ზინოვიევს.

ბოლო ინტერვიუში, რომელიც ფრანგულმა „ფიგარომ“ ჩამოართვა, იგი ამბობს, რომ დემოკრატია თანდათან ქრება დასავლეთის ქვეყნების საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან, რომ ერთი ზენაციონალური სტრუქტურა სახელმწიფოებს თავს ახვევს საკუთარ კანონებს, საკუთარ ნებას, იძლევა ბრძანებებს, გასცემს სანქციებს, აწესებს ემბარგოს, ბომბავს ქალაქებს, ადამიანებს შიმშილით ხოცავს. ფინანსურმა ტოტალიტარიზმმა მყარად გაიდგა ფესვები, დაიმორჩილა პოლიტიკური ხელისუფლება. მისთვის უცხოა ემოციები და სიბრალურის გრძნობა.

აი ეს ძალა მართავს დღეს დასავლეთს და არც უნდა გაგიკვირდეთ, რომ მას თავისი ლოგიკა ჰქონდეს.

ალექსანდრ ზინოვიევი მიიჩნევს, რომ დასავლეთი დღეს წარმოდგენილია ზესაზოგადოების სახით და ცდილობს დანარჩენ მსოფლიოს თავისი უპირატესობა აღიარებინოს.

— რა უნდა გაკეთდეს საქართველოში იდეოლოგიური ინტერვენციისგან ქვეყანა და ხალხი ხომ ვიხსნათ?

— ერთხელ საქართველოს უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ცხონებულმა ალექსი ინაურმა დამიძახა და მკითხა (მაშინ მეხუთე განყოფილების, ახლა კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი რომ არის, იმისი ხელმძღვანელი ვიყავი): — ანზორ, რა ვუყოთ ამ იდეოლოგიურ დივერსიასო. ცოტა კი გამიკვირდა, ასეთი შეკითხვა რომ დამისვა, მაგრამ ალალად ვუპასუხე: — არანაირი იდეოლოგიური დივერსია არ იქნება, თუ ხალხს ცხოვრების პირობებს გავუუმჯობესებთ-მეთქი.

შემომხედა და პაუზის შემდეგ მითხრა: — კარგი. წადიო.

ჩვენს ქვეყანას დღესაც ვერავითარი იდეოლოგიური დივერსია ვერ დაემუქრება, თუ სახელმწიფო ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებას მაქსიმალურად ხელს შეუწყობს.

თუ ხალხი რეალურად იგრძნობს, რომ მის კეთილდღეობაზე სახელმწიფო ზრუნავს, მაშინ სტაბილურობა უზრუნველყოფილია.

დღეს მინდა პირდაპირ მივმართო ჩვენს ხელისუფლებას, რომ ის დაპირებები, რომლებიც ხალხს მისცა, შეასრულოს, ბიძია!

— რა შეგიძლიათ თქვათ, ბატონო ანზორ, იმ სკანდალთან დაკავშირებით, რომელიც საქართველოშიც და შვედეთშიც აგორდა შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრის კარლო ბილდტის წინააღმდეგ? ირკვევა, რომ ამ კაცის პიარკომპანიას, რომელიც საკაშვილის ლობირებით და გაპიარებით იყო წლების განმავლობაში დაკავებული, ყოფილმა პრეზიდენტმა საქართველოს ბიუჯეტიდან 4 მილიონი ლარი დაახარჯა. ეს მინისტრი ამიტომაც რჩება დღემდე მიშას ერთგულ მეგობრად და ჩვენი ახალი ხელისუფლების აქტიურ მოწინააღმდეგედ.

— რვა წელიწადზე მეტი ვიმუშავე საზღვარგარეთ და ძალიან კარგად ვიცნობ იქაური ხალხის, განსაკუთრებით, ჩინოვნიკების ფსიქოლოგიას. ფული მათთვის ყველაფერია. ფულით ყველას მოსყიდვა შეიძლება. და არ მიკვირს, შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრის თუ სხვა ქვეყნის პრემიერ-მინისტრის კორუფციულ სკანდალში გარევა. საბჭოთა დაზვერვის, უფრო ზუსტად, სტალინის პირადი სტრატეგიული დაზვერვის ისტორია მოწმობს, რომ ამ დამახასიათებელი თვისების სწორად გამოყენებით გადმობირებულები იყვნენ სხვადასხვა ქვეყნის უმაღლესი სახელმწიფო პირები და მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეები. ამითაც იყო განპირობებული, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობას გარანტირებული ჰქონდა მთელ მსოფლიოში მხარდაჭერა და ყველაფერ იმის განხორციელება, რასაც პოლიტბიურო გადაწყვეტდა.

მეტსაც გეტყვით, სტალინის დროს, როცა საბჭოთა კავშირი საბჭოთა კავშირობდა, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს არ აირჩევდნენ, თუ კანდიდატურა რაღაც ფორმით საბჭოთა კავშირთან არ იქნებოდა მოსინჯული და შეთანხმებული.

— თუ გახსოვთ, ეს შევარდნაძის პერიოდში იყო, დღის წესრიგში დადგა ე.წ. მესამე სექტორის, არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების წყაროების შემოწმება.

— რა შემოწმება ამას უნდოდა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამ დაფინანსებას აწარმოებს აშშ ადმინისტრაცია და დასავლეთის სხვა ქვეყნები საქველმოქმედო, დემოკრატიის განვითარების ფონდების საფარქვეშ. ჯერ კიდევ პრეზიდენტ კენედის დროს ამუშავდა სისტემა სხვადასხვა ქვეყნებში შეერთებული შტატების იდეოლოგიური ექსპანსიის განსახორციელებლად. ასე იყო და ასე არის ახლაც. გადაკეტეთ ეს წყარო და ყველა არასამთავრობო ორგანიზაცია ისე გაქრება, თითქოს არც ყოფილა. უკვალოდ.

გარკვეულწილად ამ სფეროდან არის ინგლისურის 1000 მასწავლებლის ჩამოყვანა საქართველოში. ვერ გეტყვით, მათი მოღვაწეობის შედეგად გახდა თუ არა ინგლისური საქართველოში სახელმწიფო ენა, მაგრამ, შემიძლია, დარწმუნებით გითხრათ, რომ თითოეულმა მათგანმა დაზვერვის უწყებაში წარადგინა საკუთარი ანგარიში საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარების შესახებ. აშშ შესაბამისმა სამსახურმა გააანალიზა ამ გზით მიღებული ინფორმაცია და დარწმუნდა, რომ სააკაშვილის რეჟიმის შენარჩუნება საქართველოში შეუძლებელი იყო. ამიტომაც არავინ გადაყოლია მიშას...

— ბოლო შეკითხვა: როგორ განწყობილებაზე ხართ, ბატონო ანზორ?

— პესიმისტურ განწყობილებაზე.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ჯერჯერობით ვერ ვხედავ სამართლის ზეობას ჩვენს ქვეყანაში. გავიდა ორი წელიწადი და ახალმა ხელისუფლებამ წინასაარჩევნო დაპირებების მხოლოდ 20 პროცენტი თუ შეასრულა. ოპტიმიზმის საფუძველს ვერ ვხედავ. ამას დიდი გულდაწყვეტით ვამბობ.

ესაუბრა
არმაზ სანეგლიძე

გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“.

◎ ღია წერილი თბილისის მერიას!

„თბილისობის“ იდეის ავტორი „საპატიო თბილისელი“ არ უნდა იყოს?!

ამ დღეებში, ალბათ, გაიმართება „თბილისობის“ მართლაც რომ მშვენიერი დღესასწაული. თბილისი ხომ მთელი საქართველოს და საქართველოში მცხოვრებთა საყვარელი ქალაქია, ამიტომ, ბუნებრივია, რომ „თბილისობა“, არა მარტო თბილისელთა, არამედ სრულიად საქართველოს სახალხო ზეიმად იქცა!

ხომ საინტერესოა: ვინ არის „თბილისობის“ იდეის ავტორი?

ეს წერილი „საქართველოს რესპუბლიკაში“ ორიოდ წლის წინათ სწორედ „თბილისობის“ წინა დღეებში დავბეჭდე, მაგრამ მას მაშინდელი თბილისის მერიის ხელმძღვანელობისაგან არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია.

ვის ეკუთვნის „თბილისობის“ დღესასწაულის დაარსების იდეა?

„თბილისობის“ დღესასწაული, რომელიც 1979 წლიდან ყოველწლიურად (თუ არ ჩავთვლით 1989-94 წლებს) იმართება, ნამდვილ სახალხო ზეიმად იქცა, არა მარტო თბილისში მცხოვრებთათვის, არამედ — მთელი საქართველოსთვის. გახსოვთ, ალბათ, ალექსანდრე ბასილაიასა და ჯემალ ბაღაშვილის თბილისობისადმი მიძღვნილი შესანიშნავი სიმღერა, „თბილისობა“, თემურ წიკლაურისა და ანსამბლ „ივერიის“ შესრულებით, სადაც ასეთი სიტყვებიცაა:

„დღეგრძელი იყოს ის თბილისელი,
ვინც ჩვენი ნატვრა საქმედ აქცია
და ოქროსფერი დღე შემოდგომის
დღესასწაულად გადააქცია!..“

ეს ყველაფერი — კარგი და მშვენიერი, მაგრამ მაინც... **ვის ეკუთვნის თბილისობის დღესასწაულის დაარსების იდეა?**

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ადვილია, თუ გავეცნობით ცნობილი ჟურნალისტისა და საზოგადო მოღვაწის ბატონი **გვანჯი მანიას** მიერ გაზეთ **„თბილისში“ 1976 წლის 5 ნოემბრის** ნომერში **„საკითხის დასმის წესით“** (სქოლიოში ასეთი მინაწერი აქვს!) გამოქვეყნებულ წერილს **—„დაწესდეს ახალი დღესასწაული“.**

წერილში ავტორი მოკლედ მიმოიხილავს თბილისის წარსულსა და აწმყოს, ყოფას, ტრადიციებს, მომავალს და გვთავაზობს:

„...საჭიროა მხოლოდ ერთი იდეა, ერთი მიზანი, ერთი დღე, რომ ყველა მიიზიდოს, გააერთიანოს, გამოავლინოს ყველას შემოქმედებითი ნიჭი, უნარი და ფანტაზია.

ყველაფერი ეს ხელეწიფება საყოველთაოსახალხო დღესასწაულს. ჩვენი აზრით, სწორედ ასეთი შეიძლება და უთუოდ უნდა გახდეს თბილისის დღე — თბილისობა.

...მოდით, ვიყოთ უფრო გულისხმიერნი, დავაწესოთ და ამიერიდან ყოველი წლის ოქტომბერში — ლეგენდარულ ხოხობზე ნადირობის ჟამს — აღვნიშნოთ თბილისის დღე!

...ამ დღეს მილიონიანი ქალაქის თითოეული მოქალაქე, თითოეული საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია, თითოეული თბილისური სახლი ჩააბარებს ერთი წლის საქმიანობის მართალ ანგარიშს: რა შექმნა, რა გააკეთა, რით გაამშვენიერა დედაქალაქი...

ამ დღეზე მთელ წელიწადს იფიქრებს და იშრომებს თითოეული თბილისელი და თბილისის ყველა გულშემატკივარი...“

ამ წერილს გაზეთ „თბილისის“ ფურცლებზე უამრავი გამოხმაურება მოჰყვა. ერთ-ერთი გამოხმაურების ავტორი თავადაც გახლდით. ბუნებრივია, თბილისელები, გაზეთის მკითხველები იწონებდნენ ამ იდეას და მხარს უჭერდნენ ამ საერთო-სახალხო ზეიმის დაარსება-დამკვიდრებას.

რა თქმა უნდა, ქება და დიდება ყველა იმათ, ვინც შემდგომ ამ იდეას ხორცი შეასხა და **დღეგრძელობა** მათ, როგორც სიმღერის ტექსტშია, მაგრამ იდეის ავტორის დავიწყებაც არ ეგების, მით უმეტეს, როცა ის გახლავთ ცნობილი ჟურნალისტი, ეკოლოგი, მოგზაური და მხარეთმცოდნე **გვანჯი მანია** — ენციკლოპედიური განათლებისა და დაუშრეტელი ენერგიის ადამიანი, თბილისისა და ჯვარის (სადაც დაიბადა 1939 წლის 23 აგვისტოს) ნამდვილი კოლორიტი. ჟურნალისტურ, ლიტერატურულ, სამეცნიერო და მოგზაურთა წრეებში, ალბათ, იშვიათად თუ იქნება ადამიანი, გვანჯი მანიას რომ არ იცნობდეს. 2003 წელს გამომცემლობა „განათლების“ გრიფით გამოცემულ ენციკლოპედიურ ცნობარში — **„ქართველი მოგზაურები, გეოგრაფები, ბუნების მკვლევარნი“,** გვანჯი მანიას მიერ განხორციელებულ იდეებს, საქმეებს, საინტერესო წამოწყებებს, მოგზაურობების ჩამონათვალს სრული ორი გვერდი უკავია...

თბილისობის, ამ მართლაც სახალხო დღესასწაულს, მრავალი ლამაზი ცერემონიალი ამშვენებს; ერთ-ერთი, უთუოდ, **„საპატიო თბილისელის“** არჩევაა! როგორც ინტერნეტში გადავამოწმე, თბილისობა სულ 27-ჯერ ჩატარებულა და ამ დღესასწაულზე 212 **„საპატიო თბილისელი“** აგვირჩევია. ჩემი აზრით, კურიოზიც კია, რომ ამდენ „საპატიო თბილისელთა“ შორის არ არის თბილისობის იდეის ავტორი!

კარგი იქნება, თუ ამას წლევანდელ თბილისობაზე გავითვალისწინებთ და **საპატიო თბილისელთა შორის ვიხილავთ თბილისობის დღესასწაულის იდეის ავტორს ბატონ გვანჯი მანიას.**

თქვენ რას იტყვით?“

(საქართველოს რესპუბლიკა“, 2012წ., 6 ოქტომბერი).

* * *

როგორც შესავალში აღვნიშნე, მაშინ ამ წერილს, მიუხედავად იმისა, რომ პუბლიკაციის ელექტრონული ვერსია თბილისის მერიის რამდენიმე (შესაბამის) სამსახურს გადავუგზავნე, არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია.

მაშინაც და შემდგომაც ჩატარებულ „თბილისობის“ დღესასწაულებზე, ირჩევდნენ „საპატიო თბილისელებს“, მაგრამ „თბილისობის“ იდეის ავტორი არავის გახსენებია!

წლეულს ბატონ გვანჯი მანიას დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა.

სხვათა შორის, „თბილისობაც“ იუბილარია: იგი წელს 30-დ ტარდება!

იმედია, განახლებული თბილისის მერია და მისი შესაბამისი სამსახური (კომისია) ამჯერად მაინც დაუფასებს ამ მართლაც ამაგდარ ადამიანს თავის მრავალწლიან მოღვაწეობას და „თბილისობის“ საიუბილეო დღესასწაულზე „თბილისობის“ იუბილარ ავტორს, სხვა ღირსეულ თბილისელებთან ერთად, „საპატიო თბილისელის“ ტიტულს მიანიჭებს!

ბატონი გვანჯი მანია ცხოვრობს თბილისში, დიდ დიღომში. მისი ტელეფონის ნომრებია: 2 53 25 38 (ბინის), 593 51 27 47(მობილურის).

მურად ჭანტურია

SOS!

საქართველოში ყოველი ხუთი ორსულიდან სამი აბორტს იკეთებს

ჯანდაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის დიმიტრი ხუნდაძეს განცხადებით, უკანონო აბორტებზე გამკაცრებული სანქციები დანაშაულის სიმძიმის შესაბამისია.

უკანონო აბორტებთან დაკავშირებით სისხლის სამართლის კანონმდებლობაში დაგეგმილ ცვლილებებზე ხუნდაძემ პარლამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრა.

დეპუტატის ცნობით, 2012 წელს აბორტების საერთო რაოდენობის მხრივ 40 ათასი აბორტი დაფიქსირდა, რაც მხოლოდ რეგისტრირებული აბორტების მაჩვენებელია. მისივე თქმით, არ არსებობს არარეგისტრირებული აბორტების ამსახველი მონაცემები. საავარაუდო გათვლებით კი, დღეში დაახლოებით 100-150 აბორტი კეთდება. როგორც დიმიტრი ხუნდაძე აცხადებს, ყოველი ხუთი ორსულიდან სამი აბორტს იკეთებს.

ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ უკანონო აბორტებთან დაკავშირებით ისეთი ლიბერალური დამოკიდებულება, რაც საქართველოშია, არც ერთ ევროპულ ქვეყანაში არ არსებობს. მან ევროპული სახელმწიფოები დაასახელა, სადაც უკანონო აბორტის გაკეთებაზე სასჯელი სულ მცირე ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთაა.

ცნობისთვის, ჯერ კიდევ მოქმედი „სისხლის სამართლის კოდექსით“ უკანონო აბორტი ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით — 100-დან 240 საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით 1-დან 2-წლამდე. იგივე ქმედება, ჩადენილი უკანონო აბორტისათვის მსჯავრდებული პირის მიერ, რამაც გამოიწვია შვილოსნობის სამუდამო მოშლა ან სხვა მძიმე შედეგი — ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით 3-წლამდე, ან თავისუფლების აღკვეთით ვადით 1-დან 3-წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით 3-წლამდე. უკანონო აბორტი, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 3-დან 5-წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით 3-წლამდე.

დეპუტატების დიმიტრი ხუნდაძისა და მირიან წიკლაურის მიერ მომზადებული კანონპროექტის მიხედვით კი, უკანონო აბორტი დაისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით 120-დან 300-საათამდე, ან თავისუფლების აღკვეთით ვადით 1-დან 2-წლამდე, ხოლო იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით — თავისუფლების აღკვეთით ვადით 2-დან 4-წლამდე, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით 3-წლამდე.

ასევე მკაცრდება ნორმები იმ შემთხვევებში, როცა უკანონო აბორტმა გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 4-დან 6-წლამდე, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით 3-წლამდე.

კანონპროექტი სასჯელის ფორმად ჯარიმას აღარ ითვალისწინებს.

ამასთან, აბორტების თემაზე პარლამენტმა კიდევ ერთი ახალი ნორმა მიიღო, რომლის მიხედვით, ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის მიზნით, სამედიცინო ჩარევის განხორციელებამდე 3-დღიანი მოსაფიქრებელი პერიოდი 5-დღემდე გაიზრდა.

შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ

პროექტის დასახელება: **კახეთის რეგიონული გზების გაუმჯობესების პროექტი**

განმახორციელებელი სააგენტო: **საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**

ქვეყანა: **საქართველო**

პროექტის ნომერი: **P117152**

სატენდერო დოკუმენტის/კონტრაქტის საიდენტიფიკაციო ნომერი: **KRRIP/CS/QCBS-03**

კონტრაქტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები: **ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება პროექტირებისა და მშენებლობის კონტრაქტისთვის – ბაკურციხე-გურჯაანის შემოვლითი გზის რეაბილიტაცია კახეთის რეგიონული გზების გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში**

შერჩევის მეთოდი: **ხარისხზე და ფასზე დაფუძნებული შერჩევა**

კონტრაქტის ხანგრძლივობა: **5 თვე**

კონტრაქტის ხელმოწერის თარიღი: **5 სექტემბერი, 2014 წელი**

შეფასების ვალუტა: **ლარი**

გამარჯვებული საკონსულტაციო კომპანია:

სახელი: Roughton International Ltd.

ტექნიკური ქულა: 59.74

ფინანსური ქულა: 20.00

საბოლოო შესაფასებული ფასი: 156,350.00 აშშ დოლარი და 93,600.00 ბრიტანული ფუნტი

საბოლოო ქულა: 79.74

საბოლოო ადგილი: 1

საკონტრაქტო ღირებულება: 204,992.22 აშშ დოლარი და 122,720 ბრიტანული ფუნტი (გადასახადების ჩათვლით)

შეფასებული საკონსულტაციო კომპანიები:

სახელი: JV KOCKS Consult GmbH, Consulting Engineers & Transporject Ltd.

ტექნიკური ქულა: 63.26

ფინანსური ქულა: 14.59

საბოლოო შესაფასებული ფასი: 427,700.00 აშშ დოლარი

საბოლოო ქულა: 77.85

საბოლოო ადგილი: 2

სახელი: JV ILF Beratende Ingenieure ZT GmbH (ILF Consulting Engineers) and PRISMA Consulting Engineers

ტექნიკური ქულა: 57.70

ფინანსური ქულა: 11.46

საბოლოო შესაფასებული ფასი: 272,500.00 ევრო და 286,215.00 ლარი

საბოლოო ქულა: 69.16

საბოლოო ადგილი: 3

Contract Award Notification

Project Name: **Kakheti Regional Roads Improvement Project (KRRIP)**

The project implementing Agency: **Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia**

Country: **Georgia**

Project Number: **P117152**

Bid/Contract Reference No: **KRRIP/CS/QCBS-03**

Scope of Contract: **Preparation of Feasibility Study and Bidding Documents for Design- and-Build Contract for Rehabilitation of Bypass of Bakurtsikhe-Gurjaani Road Section under Kakheti Regional Roads Improvement Project**

Method of Selection: **QCBS – Quality and Cost-Based Selection**

Duration of Contract: **5 Months**

Contract Signature Date: **September 5, 2014**

Evaluation Currency: **Georgian Lari**

Awarded Consultant(s)/Firm:

Name: **Roughton International Ltd.**

Technical Score: 59.74

Financial Score: 20.00

Final Evaluation Price: 156,350.00US Dollars and 93,600.00 British Pounds

Final Score: 79.74

Final Ranking: 1

Contract Price: 204,992.22 US Dollars and 122,720 British Pounds (inclusive taxes)

Evaluated Consultant(s)/Firm:

Name: **JV KOCKS Consult GmbH, Consulting Engineers & Transporject Ltd.**

Technical Score: 63.26

Financial Score: 14.59

Final Evaluation Price: 427,700.00 US Dollars

Final Score: 77.85

Final Ranking: 2

Name: **JV ILF Beratende Ingenieure ZT GmbH (ILF Consulting Engineers) and PRISMA Consulting Engineers**

Technical Score: 57. 70

Financial Score: 11.46

Final Evaluation Price: 272,500.00 EUR and 286,215.00 GEL

Final Score: 69.16

Final Ranking: 3

დედამიწის ზურგზე

დადგა შემოდგომის ბუნიობის დღე – პოლარული ნათებისა და „ნეკერჩხალზე ნადირობის“ დრო

დედამიწის ჩრდილოეთი ნახევარსფეროს მცხოვრებლები აღნიშნავენ, ასტრონომიული შემოდგომის დაწყებას. დღეიდან ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ღამეები გახდება უფრო გრძელი, დღეები კი — უფრო მოკლე. თანაც დღე მცირდება მკვეთრად — არა ერთი წუთით, როგორც ადრე იყო, არამედ ერთბაშად 5-6 წუთით. აი ავსტრალიასა და ბრაზილიაში კი, პირიქით — დღე მკვეთრად გაიზრდება.

* * *

ვენესუელაში ხელისუფლება ვირუსის ეპიდემიის გამო „ფსიქოლოგიურ ტერორიზმთან“ აწარმოებს ბრძოლას.

ექსპერტების აზრით, საკითხი შეეხება ჩიკუნგუნიას ვირუსს, რომელიც გადაეცემა მწერების კბენით. ეს დაავადება მრავალი ათეული წლის განმავლობაში ვრცელდებოდა აფრიკასა და აზიაში და მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინათ შეიჭრა ამერიკაში. ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, ამ დაავადებისგან კარიბის ზღვაში წელს უკვე 113 კაცი გარდაიცვალა.

* * *

სამხრეთი კორეის დაზვერვამ გამოარკვია, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა ამუშავებს რაკეტებს, რომლებსაც შეუძლიათ გადაიტანონ ბირთვული იარაღი.

კორეის რესპუბლიკის სადაზვერვო სამსახურების მონაცემებით, მიმდინარე წლის აგვისტოდან კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ განახორციელა მცირე სიშორის ახალი რაკეტის გამოსაცდელი გაშვებების სერია. სეულში მიაჩნიათ, რომ ახალ სისტემას შეუძლია გადაიტანოს ბირთვული ქუბინებიც. სამხრეთი კორეის დაზვერვის სამსახურები მიიჩნევენ, რომ ახალი ტაქტიკური რაკეტების დამუშავება მიმდინარეობს 2010 წლიდან.

* * *

იაპონიამ ამერიკის შეერთებული შტატების თხოვნით გადადო პუტინის ვიზიტი ტოკიოში

სააგენტო „კიოდოს“ წყაროების მონაცემებით, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვიზიტი ახლა შეიძლება დაინიშნოს მომავალი წლის გაზაფხულისთვის. იაპონიის პრემიერ-მინისტრ სინძო აბეს ამავე დროს იმედი აქვს, აწარმოოს მოლაპარაკება ვლადიმერ პუტინთან „ატეს“ სამიტის ფარგლებში, რომელიც გაიმართება პეკინში მიმდინარე წლის ნოემბერში.

უბედური ქვეყნის „ბედნიერი“ ხელისუფლება

ამ წერილის სათაური, რომელიც ცოტა არ იყოს გაუგებრად აღიქმება (ქვეყანა თუ უბედურია, მისი ხელისუფლება რანაირად შეიძლება ბედნიერი იყოს?!), ამ დღეებში უცხოურ და ქართულ პრესაში გახმაურებულმა სენსაციურმა ინფორმაციამ მიკარნახა. რაც არ უნდა უცნაურად მოგვეჩვენოს, ამ გამოკვლევა-ინფორმაციიდან, რომლის ავტორია უცხოური კომპანია „Gallup heaithways“-ი, ვიგებთ, რომ საქართველო, რომელსაც ამ ორიოდე წლის წინათ მსოფლიო დემოკრატიისა და რეფორმატორული გარდაქმნების შუქურა ქვეყნად იცნობდნენ, ახლა ერთბაშად თურმე პლანეტის უბედურ ქვეყანათა ჩამონათვალის პირველ ათეულში აღმოჩნდა(?!).

ჩვენ კი, მაგრამ ამ კვლევის მიხედვით რომელ ქვეყნებს ხვდათ წილად ბედნიერება, არ გაინტერესებთ? იმ კრიტერიუმებით (მოქალაქეთა ეკონომიკური კეთილდღეობა, სოციალური დაცულობა, ახლობლებთან ურთიერთობა, ცხოვრების მიზანი, ფიზიკური ჯანმრთელობა), რომელთა მიხედვითაც განლაგდნენ ბედნიერი ქვეყნები, პირველ ადგილზე აღმოჩნდა პანამა. მას მიჰყვებიან კოსტარიკა, დანია, ავსტრია, ბრაზილია, სალვადორი და სხვები, ხოლო სირიელებთან, ავღანელებთან, კონგოელებთან, მადაგასკარელებთან, უგანდელებთან და სხვებთან ერთად ყველაზე უბედურები ვართ ქართველები...

ესეც თქვენ, ნაცებო, იგივე „გნაცებო და „ქოცებო!“ ახლა გაიხარეთ, რომ გვარწმუნდებდით, ჩვენი ხელისუფლებიდან გარეკვის შემდეგ ქვეყანა ინგრევა-უბედურდებაო და არ გიჯერებდით, ახლა რაღას ვიტყვით? მოგეცათ კიდევ ახალი სასკანდალო საქმე „ოცნებელთა“ საწინააღმდეგო-საქილიკოდ და მიდით, მიაწექით!

მე თქვენ გეტყვით, ზოგი ჩვენი მეზობელი ქვეყნის უგერგილო მთავრობასავით, ქართველ ნაცებს, რომელთაც მეოცნებე მთავრობას ხელისუფლება ნებაყოფლობით გადააბარეს, სალაპარაკო და სატრაბახო არაფერი აქვთ. სხვა თუ არაფერი, მარტო ის უნდა ეამაყებოდეთ (და ამაყობენ კიდეც), რომ მსოფლიო პრაქტიკაში დღემდე გაუგონარი ექსპერიმენტის ავტორები გახდნენ: **მთელი 9 წლის მანძილზე ხალხი ვირტუალურ კეთილდღეობაში ამყოფეს, ხოლო თავად რეალური კეთილდღეობა-ბედნიერებით დატკბნენ. მართალია, ადგილზე დასაქმების პროგრამა ჩაუვარდათ, მაგრამ, სამაგიეროდ, მოსახლეობის მესამედზე მეტი საზღვარგარეთ დაასაქმეს, ცნობილი კანონიერი ქურდები და კრიმინალური ავტორიტეტები ქვეყნიდან სულ კინწისკვრით გაყარეს და მათი ადგილები თავად დაიკავეს, ქვეყნის ტერიტორიების 20 პროცენტი კი დაკარგეს, მაგრამ პუტინის უძლეველი არმიის დამარცხებით მთელი ცივილიზებული სამყარო გააოცებს.**

ჰოდა, სრულიად „სამართლიანად“ ამაყობენ კიდეც კაცობრიობისთვის დღემდე მიუღწეველი ამ უჩვეულო წარმატებით ჩვენებური ნაცები და მათი უცვლელი, ამჟამად დამნაშავის იარლიყით საზღვარგარეთ გაქცეულ-გადახვეწილი ბელადი მიხეილ სააკაშვილი. ამ გუნდმა თავის „საცოცხო“ პოლიტიკით, საგადასახდო წნეხებითა და ყოველდღიური დაყაჩაღებით მართალია, საქმის კეთების ენთუზიასტ ბიზნესმენებს გამდიდრების შანსი კარგა ხნით დააკარგვინეს (ისინი დღესაც „ნოკაუტში“ არიან), მაგრამ, სამაგიეროდ, დიდი რუდუნებით იზრუნეს ელიტარული კორუფციის ასაყვავებლად, რომლის წყალობითაც პრეზიდენტყოფილმა სააკაშვილმა და მისმა საძმაკაცომ არნახულ სიმდიდრეს გამოჰკრეს ხელი. **დღეს მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ერთეული დიქტატორებისა და მუსულმანი შეიხების გარდა, არც ერთ პრეზიდენტს არ უცხოვრია ისეთი ფუფუნებით (დაფრინავდა საკუთარი ძვირადღირებული „ბოინგით“, ემსახურებოდა ასევე ძვირად ღირებული პირადი იახტა, რომლით სეირნობისასაც ამას წინათ ძებნილად შერაცხილი სააკაშვილი საბერძნეთის პოლიციამ რამდენიმე საათით დაიკავა), როგორითაც იცხოვრა უღატაკესი ქვეყნის „ფარაონმა“ სააკაშვილმა.**

„ფარაონის“ შემყურე ნაცბანდის არც სხვა ლიდერები აკლებდნენ ხელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხების დატაცებას, რასაც ისინი „გაპრავებული“ პრემიების სახით იჯიბავდნენ ან არჩევნებში ხმების მისაღებად თავიანთ აქტივისტებს ურიგებდნენ, თანაც გვარწმუნებდნენ, — ქვეყანაში რეფორმებს ვატარებთ, ეკონომიკას ვავითარებთ, საქართველო მსოფლიოს მაღალგანვითარებულ სახელმწიფოთა რიგებში გაგვყავსო.

და აი, როგორც უკვე ვნახეთ, საქართველომ, რომელსაც ნაცები პლანეტის უპირველესი ქვეყნების საპირწონედ ამზადებდნენ, მათივე წყალობით, მოულოდნელად, უღატაკეს, უბედურ ქვეყანათა რიგში ამოყო თავი, თავად ნაცბანდის ბელადმა სააკაშვილმა კი იმ დამნაშავეთა შორის, რომელთაც ამ ღატაკი, უბედური ქვეყნის ბიუჯეტიდან ხალხის კუთვნილი ქონება გაფლანგეს და გაანიორწყალეს. რაღა თქმა უნდა, უღატაკესი ქვეყნის ყვლეფით გამდიდრებულმა ექსპრეზიდენტმა მთელი სიმკაცრით უნდა აგოს პასუხი ამ უკაცური საქციელისთვის. და, ალბათ, აგებს კიდეც ხალხის განაჩენს გაქცეული სააკაშვილის და მისი ოჯახის წევრების ქონება პროკურატურამ ამ დღეებში „საგულდაგულოდ“ დააყადაღა!

მაგრამ მიშა რის მიშაა, რომ პროკურატურას შეუშინდეს, ის თავის დროზე პუტინს არ წაუწვა და ახლა „ფარცხალაძის პროკურატურას“ წაუწვება? ნურას უკაცრავად, „დაყადაღებული“ სააკაშვილი იხტიბარს არც ამჯერად იტეხს და უცხოეთის რომელიღაც თვითმფრინავიდან სხვა ლაინერზე „პერესიადკის“ მომლოდინე ძებნილი „რუსთავი 2“-სთვის მიცემულ ინტერვიუში ძველებურ ზღაპრებს ყვება: ეს ყველაფერი, რაც ახლა ჩემს თავს ხდება, პუტინის მიერ საქართველოს დასანგრევად და სააკაშვილისთვის ანგარიშის გასასწორებლად შემოგზავნილი, ბოროტი და უწიგნური რუსი ოლიგარქის — ივანიშვილის ოინებიაო. აბა შეხედეთ, თბილისის თავზე თავად რამხელა სასახლე წამოჭიმა (სურთს ტელეეთერში წაღმა-უკღმა ატრიალებდა) და აქეთ ჩემი მეუღლის ხელფასიდან საცოდავად ნაგროვები ფულით ნაყიდ ბინას აყადაღებსო. გახმაურებულ ყვარლის მამულზეც ილაპარაკა, ზოგს რომ ჰგონია იქაურობა მუქთად ჩავიგდე ხელში, სინამდვილეში ოთუსბირი დამიჯდაო. პირველი ნაკვეთი მართალია შედარებით იაფად მომყიდეს, მაგრამ მომდევნო ნაკვეთებში, აქაოდა პრეზიდენტის მამულის მომიჯნავეაო, ჩემი მაღალი რეიტინგის გათვალისწინებით, ათმაგად მეტი გადამახდევინესო. ნანობს, რა ჯანდაბად მინდოდა ამხელა რეიტინგი, თუკი დამაზარალებდაო. ან ეს რა გასაკეთებელი იყოო, გაკვირვებულია, ოზურგეთში ბებიაჩემის მიწა და ჯერაც დაუმთავრებელი სახლი რომ დააყადაღესო და შექმნილი გაუგებრობიდან, მისი აზრით, საზოგადოებისთვის ფრიად გასაგები დასკვნა გამოაქვს:

— გაიგეთ, ხალხო, ამ არაკაცმა უთაურებმა ჩემი ქონება კი არა, საქართველო დააყადაღესო! მინდა, ყველამ იცოდეს, ჩემი პრეზიდენტობის დროს მე ვაშენებდი არა ჩემს სახლს, არამედ საქართველოსო! ჰოდა, აქედან გამომდინარე, სააკაშვილი გულდათუთქულია არა საკუთარი ქონების, არამედ საქართველოს დაყადაღების გამო(?!).

ტელეეკრანიდან გულდათუთქული გამოიყურებოდა ნაპრეზიდენტალის დედა გიული ალასანიაც, რომელმაც ნაცბანდის თავკაცი შვილისგან განსხვავებით, სათქმელი მოკლედ მოჭრა: ეს ყველაფერი, რაც ახლა ხდება, სამარცხვინოა, ძალიან სამარცხვინოო! **ქალბატონ გიულის არ დაუკონკრეტებია, რა მიაჩნია სამარცხვინოდ, იმ პერიოდში, როცა ნაცებმა ჩარეცხილი პროფესორ-მასწავლებლები უმაღლესი სასწავლებლებიდან გამოყარეს, თავად ტექნიკური უნივერსიტეტის მოზრდილ კორპუსს რომ დაეპატრონა (როგორც ამბობენ, პრეზიდენტი შვილის წყალობით, სიმბოლურ ერთ ლარად), თუ ის, რომ პროფესორის ოჯახში სანიმუშოდ აღზრდილმა სააკაშვილმა შვილის უცხოეთში სწავლა-განათლების მისაღებად სახელმწიფო თანხები არ დაიშურა და იქაურ სასწავლებელს კუთვნილი ფული ჩვენგან, ბიუჯეტის პატრონებისგან, მალულად გადაუხადა.** თუ ამას გულისხმობდა ქალბატონი გიული ალასანია (და არა მარტო ამას პრეზიდენტის უამრავ დანაშაულობათაგან) სამარცხვინო საქციელში, ვეთანხმები. აბა როგორ, პირადი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად, თუნდაც კოსტიუმების შესაძენად და ბოტოქსების საკეთებლად სახელმწიფო თანხების ფლანგვა, პრეზიდენტის მხრიდან, მართლაც სამარცხვინოა, ძალიან სამარცხვინო!

ასეა, ხალხს რომ ეგონა, ნაცები ქვეყნის მხსნელებად მოგვევლინენო, სინამდვილეში ქვეყნის მყვლეფავები აღმოჩნდნენ, მიუსხდნენ სახელმწიფო ბიჯეტს და ათასგვარი კორუფციული სქემებითა და „დამსახურებული პრემიებით“ უკანასკნელ გროშამდე გამოხრეს. ამათ შემყურე ხალხმა, მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ მოვიდა, იფიქრა, ახლა ნამდვილად გვეშველება, ივანიშვილს იმდენი ცხოვრებ-ქონება აქვს, ჩვენსას არაფერს წაიღებს, პირიქით, აქეთ მოგვეხმარება და არც სხვებს მისცემს უფლებას, სახელმწიფო სახსრებში ხელები აფათურაოსო. **ასე კი ფიქრობდნენ, მაგრამ იმედი არც თუ მთლად გაუმართლდათ. ახლად გამინისტრებული მეოცნებენი ჯერ სკამებზეც არ მორგებულიყვნენ და უკვე პრემიების გამოწერაზე გადავიდნენ. იმის თაობაზე, თუ ამ „მეთოდით“ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ვინ რა თანხა შეიტყაპუნა, უამრავჯერ ითქვა და დაიწერა და აღარ გავიმეორებ. ერთს კი დავამატებ, ხალხზე ფიქრის ნაცვლად საკუთარ კეთილდღეობასა და ბედნიერებაზე ზრუნვის ავადმყოფობა ოცნების მთავრობას წინა მთავრობისგან უკლებლივ გადმოედო.** ამის გამო თვით ნაცებიც კი განცვიფრებას ვერ მალავენ: ერთი შეხედეთ ამ ხალხის მსახურებს, ჩვენ რომ გვადანაშაულებდნენ, ფული თავადაც როგორ ჰყვარებიათო. იმის მაგივრად, რომ ჩავარდნილ ეკონომიკას მიხედონ და ხალხი გაჭირვებიდან ამოიყვანონ, მილიარდიანი ვალების აღებას და საკუთარი ხელფასების ზრდას გადაჰყვნენო.

რა თქმა უნდა, მეოცნებე ხელისუფალნი არც ისე წყალწაღებული არიან, როგორც ამას ხელისუფლებადაკარგული ნაცები (იგივე „გნაცები“ და „ქოცები“) ხატავენ, მაგრამ არც მთლად უამისობაა. **მართალია, სააკაშვილის უზურპაციულ-მტაცებლური რეჟიმი დაემხო, მაგრამ ნაცების დანატოვარი სისტემა შენიღბულად დღესაც განაგრძობს არსებობას, ბიზნესი კი გათავისუფლდა დაყაჩაღებისაგან, მაგრამ ჯერაც ვერ შეიქმნა სრულყოფილი პირობები ინვესტიციების მოსაზიდად, ეკონომიკის ამოსაწვეად და უმუშევრობის დასაძლევად. ქვეყნის პირველმა ფინანსისტმა ნოდარ ხადურმა რამდენიც უნდა იტრაბახოს ეკონომიკის ზრდის პროცენტული მაჩვენებლებით, რეალობა ის გახლავთ, რომ საწვავზე, მედიკამენტებზე, საკვებ პროდუქტზეც კი ფასები მნიშვნელოვანი კლების ნაცვლად, რასაც მეოცნებენი ხელისუფლებაში მოსვლამდე დიდის ამბით გვპირდებოდნენ, სულ უფრო და უფრო მატულობს.** ფაქტია, მთელი ზაფხულის მანძილზე და ახლაც, შემოდგომაზე, კარტოფილი და ხილი არასოდეს ასე ძვირი არ ყოფილა. მოსახლეობას ყოველთვის ჰქონდა სექტემბერში ნებისმიერი ხილის მირთმევის ფუფუნება და ახლა ეს სიამონებაც მოაკლდა.

ასეთ სიტუაციაში ცოტა უხერხულად არ გეჩვენებათ ზოგი ჩვენი პარლამენტარის მოთხოვნა ხელფასის გაზრდის თაობაზე? ამ ქვეყანაში ყველაზე დაჩაგრულები პარლამენტარები ვართ, — დაიწუწუნა ამას წინათ დეპუტატმა თინა ხიდაშელმა, — რადგან მომუშავეთაგან ყველაზე ნაკლები ხელფასი გვაქვსო. არ არის ასეო, — აცხადებს ეკონომიკის ექსპერტი **დემურ გიორხელიძე, — „ხელფასის გარდა, მათ აქვთ სახელმწიფო დანამატები, რაც თაღლითობის კიდევ ერთი ფორმაა“.** რეალურად პარლამენტის წევრის ყოველთვიური ხელფასი 2000 ლარია, თუმცა, მათ ყოველთვიური სახელფასო დანამატებიც აქვთ და საშუალოდ ერთი დეპუტატის შენახვა ბიუჯეტს წელიწადში დაახლოებით 50 ათასი ლარი, თვეში კი 4 ათას ლარზე მეტი უჯდება. ამის გარდა, ბიუჯეტიდან ფინანსდება მათი საკომუნიკაციო, სამივლინებო, საწვავისა და ბინის ქირის ხარჯები.

მოკლედ, პარლამენტარები, ისევე როგორც ქვეყნის მსხვილ-მსხვილი ჩინოვნიკები, როგორც ჩანს, მადის შეზღუდვას არ აპირებენ და ეს ხდება იმ მწვავე სოციალურ ფონზე, როცა საქართველოში მასწავლებლის საბაზისო ხელფასი 305 ლარია, პენსია — 150 ლარი, როცა გაეროს ფონდის მონაცემებით, ქვეყანაში 77 ათასი ბავშვი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს, ხოლო ყოველი მეოთხე მოქალაქე შიმშილის ზღვარზეა. ასეთი მწარე რეალობის შემყურე ოცნებელ პოლიტიკოსებს და სახელმწიფო მოხელეებს, რომლებიც ჩვენ არჩევნებით ხელისუფლებაში მოვიყვანეთ, თუ ეზმანებათ, რომ მშიერი ქვეყანა უკვე წელში გამართეს და პირადი კეთილდღეობა და ბედნიერებაღა დარჩათ საზრუნავი, გაძნელდება დავიჯეროთ, რომ ისინი ქვეყნის დამაქცევარ და ქვეყნიდან პასუხისგებას გაქცეულ სააკაშვილზე ღირსეულნი არიან. ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება, რომ, პირველ რიგში, ხალხის კეთილდღეობაზე უნდა ზრუნავდეს და მერე საკუთარ ბედნიერებაზე, ამ ჭეშმარიტებას ნაცებთან ერთად, ალბათ, ვერც „ქართული ოცნება“ გაექცევა. არავის აქვს უფლება, ამბობდა მაჰათმა განდი, მაძღარი იყოს, თუკი მის ქვეყანაში ერთი მშიერი მაინც დაიარებაო. ვფიქრობ, არც საქართველოს მთავრობისთვის უბოძებია ვინმეს ძღომის უპირატესობის უფლება. უბედური ქვეყნის ბედნიერი მთავრობა ჯერ არავის უნახავს.

ოთარ ხუციშვილი

◎ ვითომ დაოკდებიან?

საერთაშორისოს და სეოკ-ის პოზიცია — ორი თვე არაფერი შეიცვლება

ქართულ ჭიდაობაში არსებულ დაპირისპირებას ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის სამეთვალყურეო საბჭო შეისწავლის და საბოლოო დასკვნას 24 ნოემბერს დადებს. ამის შესახებ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში გამართული აღმასკომის სხდომის შემდეგ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა განაცხადა..

„ფედერაციის სამეთვალყურეო საბჭოს დაევალა 24 ნოემბრამდე მაქსიმალური სიზუსტით შეისწავლოს შექმნილი ვითარება, გაითვალისწინოს ყველა მნიშვნელოვანი ნიუანსი და საბოლოო გადაწყვეტილებაც მხოლოდ ამ დასკვნის საფუძველზე მიიღოს. იქამდე კი ყველას თავშეკავებისკენ მოვუწოდებ. პრეზიდენტიც და ორივე სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელიც თავიანთ მოვალეობებს ჩვეულებრივად შეასრულებენ“ — განაცხადა ლერი ხაბელოვმა.

პრეზიდიუმის სხდომის დასრულების შემდეგ ოფიციალური კომენტარი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმაც გააკეთა — ლევან ყიფიანმა აღნიშნა, რომ ამ ეტაპისთვის იდეალური გადაწყვეტილება მიიღეს და დაპირისპირებულ მხარეებს სამართლებრივ ჩარჩოში დარჩენა ურჩია.

სამეთვალყურეო საბჭოს ლეგენდარული ვეტერანი მოჭიდავე რომან რურუა ხელმძღვანელობს.

კოგა კოგახიძე

◎ უკვდავება

მესტიაში მიხეილ ხერგიანის მემორიალი გაიმართა

მესტიის სპორტულ დარბაზში მოწყობილ ხელოვნურ კედლებზე მეკლდეურობაში მიხეილ ხერგიანის სახელობის საერთაშორისო მემორიალური ტურნირი გაიმართა. ტურნირში მონაწილეობა საქართველოს ყველა რეგიონის 62 სპორტსმენმა და აზერბაიჯანელმა მეკლდეურებმა მიიღეს. შეჯიბრი სამ სახეობაში — რთულ, სწრაფ და ბუნებრივ კლდეებზე ინდივიდუალურ ცოცვებში ჩატარდა.

გამარჯვებული და პრიზიორი სპორტსმენები საქართველოს მეკლდეურობის ეროვნული ფედერაციის ხელმძღვანელებმა და მესტიის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა დააჯილდოვეს. ვაჟთა შორის გამართულ რთულ ცოცვაში ჩემპიონი გიორგი გაბულდანი გახდა, ვერცხლი ლაშა მითაიშვილმა, ხოლო ბრინჯაო — გოგი ჩართოლანმა დაისაკუთრა.

სწრაფ ცოცვაში გიგა ჯანხოთელმა იჩემპიონა, ვერცხლი გოგი ჩართოლანს, ბრინჯაო კი გიორგი ჯაფარიძეს ერგო. რთულ ცოცვაში სხვებზე უკეთ თამუნა მელაძე გამოვიდა, მეორე ადგილი ფატი იოსელიანმა, ხოლო მესამე სალომე მეშველიანმა დაიკავა. სწრაფ ცოცვაში დარო რატიანმა პირველი ადგილი არავის დაუთმო, მეორე ადგილი სალომე გუგუსიანმა, მესამე კი სალომე მეშველიანმა დაისაკუთრა.

გუნდურ ჩათვლაში მესტიის I გუნდმა იჩემპიონა, მეორე ადგილი და ვერცხლის მედლები თბილისის I გუნდს ერგო, მესამე ადგილი — ლენტეხს. მესტიის მუნიციპალიტეტმა ინდივიდუალურ ტურნირში გამორჩეული ორი მეკლდეური 1000-1000 ლარით დააჯილდოვა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ მკლავჭიდი

უცვი ნადავლით - ბალტიისპირეთიდან

14 „ოქრო“, 5 „ვერცხლი“ და 7 „ბრინჯაო“ — ასეთია ქართველი ათლეტების ნადავლი, რომელიც მათ ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში მოიხვეჭეს მკლავჭიდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე. შეჯიბრებაში 46 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ და ჩვენმა ნაკრებმა გუნდური მე-4 ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია უმსუბუქეს და მძიმე წონეში ქართველთა წარმატებები. იმედა ჭინჭარაულმა (55 კგ) ახალგაზრდებში მოპოვებულ „ოქრო-ვერცხლს“ უფროსებში ერთი „ოქროც“ მიამატა და შინ 3 მედლით დაბრუნდა. 60 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში 40 წლის გელა არაბულმა, რომელსაც წინა ტურნირებზე „ოქრომდე“ თითო მოგება აკლდებოდა, ამჯერად მიზანს მიაღწია — მარჯვენა მკლავით მსოფლიოს ჩემპიონობა ხვდა. მძიმეწონოსანმა ლევან საგინაშვილმა ევროპის წლევანდელ „ვერცხლს“ მსოფლიოს ორი „ოქრო“ მიამატა. ქართველმა ათლეტმა უპრობლემოდ გაიარა საკვალიფიკაციო ეტაპი და ფინალშიც, ასევე, იოლად დაამარცხა რუსი გიორგი ცვეტკოვი (მარჯვენათი) და აზერბაიჯანელი ფარიტ უსმანლი (ცაციათი).

აქვე გაუწყებთ ქართველ მედალოსან მკლავჭიდელთა ვინაობას:

18-წლამდელები

მარცხენა მკლავით: თორნიკე გიგაური (-70კგ, ოქრო), ნიკო ბაჯალაძე (+80კგ, ოქრო); **მარჯვენათი:** ალექსი ზავრაშვილი (-60კგ, ოქრო), თორნიკე გიგაური (-70კგ, ბრინჯაო);

21-წლამდელები

მარცხენათი: იმედა ჭინჭარაული (-55კგ, ოქრო), გიორგი ჯაშიაშვილი (-55კგ, ბრინჯაო), გურამ აბულაშვილი (-65კგ, ვერცხლი), მერაბ კაკაბაძე (-75კგ, ოქრო), ვაკო მელაძე (-80კგ, ოქრო), ელჩინ ბინატოვი (-85კგ, ოქრო), დათო თენეიშვილი (+90კგ, ბრინჯაო) **მარჯვენათი:** გიორგი ჯაშიაშვილი (-55კგ, ოქრო), იმედა ჭინჭარაული (-55კგ, ვერცხლი), ლევან პოლოსიანი (-60კგ, ბრინჯაო), გურამ აბულაშვილი (-65კგ, ოქრო), ზაზა ოქროცვარიძე (-75კგ, ვერცხლი), ვაკო მელაძე (-80კგ, ოქრო), ელჩინ ბინატოვი (-85კგ, ბრინჯაო);

უფროსები

მარცხენათი: იმედა ჭინჭარაული (-55კგ, ოქრო), ვილენ გაბრავა (-60კგ, ვერცხლი), რაჩო გახარია (-100კგ, ბრინჯაო), ლევან საგინაშვილი (მძიმე, ოქრო); **მარჯვენათი:** ალექსი ფრეწუაშვილი (-55კგ, ოქრო), გელა არაბული (-60კგ, ოქრო), ჯამბულ ვიბლიანი (-65კგ, ვერცხლი), ლევან საგინაშვილი (მძიმე, ოქრო).

ლექსო ციცაძე

◎ უნივერსალი

კალათბურთიდან — კიკბოქსინგში

„დეტროიტ პისტონზის“ ყოფილმა მოთამაშე დარკო მილიჩიჩმა საკალათბურთო კარიერა დაასრულა და... პროფესიულ კიკბოქსინგში გადაბარგდა. მომავალ პარასკევს 29 წლის სერბი კონტრაქტს კიკბოქსინგის მსოფლიო ასოციაციასთან გააფორმებს და მალე რინგზე პირველ ბრძოლასაც ჩაატარებს.



ცნობისთვის: 2003 წლის დრაფტზე მილიჩიჩი ერთბაშად მე-2 ნომრად იქნა არჩეული, კარიერის განმავლობაში კი იგი „დეტროიტის“, „ორლანდო მეჯიქის“, „მემფის გრიზლიზის“, „ნიუ იორკ ნიქსის“, „მინესოტა ტიმბერვულვზის“ და „ბოსტონ სელტიქსის“ ღირსებას იცავდა.

სულ სერბ ცენტრს ნბა-ში 468 მატჩი აქვს ჩატარებული, მისი საშუალო მონაგარი კი 6 ქულა და 4 მოხსნა იყო. 2004 წელს დარკო „პისტონზის“ რიგებში ნბა-ს ჩემპიონიც კი გახდა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

ნოვაკ ჯოკოვიჩი ცოლმა შეაქო

ცნობილი სპორტსმენების მეორე ნახევრები ხშირად წუწუნებენ იმაზე, რომ მეუღლეებს მათთვის დრო ნაკლებად რჩებათ და სექსის ამბავში მათ შორის, რბილად რომ ვთქვათ, ყველაფერი ისე არ არის, როგორც შეიძლება ყოფილიყო. არადა, უსექსობა, აბა, როგორ იქნება?...

თუმცა, სერბი მეჩოგნის ნოვაკ ჯოკოვიჩის ცოლი ელენა რისტიჩი სრულიად საპირისპირო რამეს ამბობს და საქვეყნოდ აცხადებს, რომ მისი ქმარი სექსის ამბავში სწორედაც რომ გამორჩეულად მრავლისშემძლე მამაკაცია და სულაც არ ჰგავს იმ კაცებს, ცოლქმრულ მოვალეობას ეშმაკურად რომ არიდებენ ხოლმე თავს.

ელენა და ნოვაკი არც ისე დიდი ხანია, რაც დაქორწინდნენ და სპორტის სამყაროში ერთ-ერთ ყველაზე მხურვალედ შეყვარებულ წყვილად ითვლებიან. ელენა რისტიჩი, ქმრის მსგავსად, წარმოშობით სერბია, თავის დროზე მოდელიც იყო და ახლაც, როცა თავისუფალი დრო აქვს, უარს არ ამბობს პოდიუმზე შედგომაზე.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ არჩევანი

„ბაიერნი“ და „პსჟ“ ელ ჰადადის შეძენას შეეცდებიან

Barcablaugranes.com-ის ინფორმაციით, მიუნხენის „ბაიერნი“ და „პსჟ“ კატალონიის „ბარსელონას“ ახალგაზრდა თავდამსხმელით მუნირ ელ ჰადადით დაინტერესდნენ.

აღნიშნული კლუბები მზად არიან ზამთრის სატრანსფერო პერიოდში 19 წლის ფეხბურთელში 12 მილიონი ევრო გადაიხადონ.

მუნირმა „ბლაუგრანას“ წინასასეზონო მომზადების პერიოდში გამართულ ამხანაგურ მატჩებში კარგი შთაბეჭდილება დატოვა და ლუის ენრიკემ პრიმერა დივიზიონის მატჩებშიც ათამაშა. შედეგად ახალგაზრდა თავდამსხმელმა ვისენტე დელ ბოსკეს მოწონება დაიმსახურა და „ფურია როხას“ მაისურით მისი დებიუტი ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩში მაკედონიის წინააღმდეგ შედგა.

გიორგი ზოთაძე

◎ ახალი ლაურეატები

„საბას“ გამარჯვებულთა დაჯილდოება გაიმართა

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში „საბას“ ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებულთა დაჯილდოება გაიმართა. გამარჯვებულები შემდეგ ნომინაციებში გამოვლინდნენ: საუკეთესო ლიტერატურული დებიუტი – **ლია ლიქოკელი,** დევის ცოლის სიცილი, პოეზია (გამომცემლობა „საუნჯე“); პროზაული ნაწილი – Toresa Mossy, სიბრძნე სიცრუისა („პალიტრა L“); საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკა – **თამაზ კვაჭანტირაძე,** განსჯანი (ილიელი); საუკეთესო ესსეისტიკა და დოკუმენტური პროზა – **გოგი გვახარია,** ცრემლიანი სათვალე (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა); საუკეთესო თარგმანი – **გიორგი გოკიელი** – ლუის კეროლის „ელისის თავგადასავალი საოცრებათა ქვეყანაში“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა); საუკეთესო პიესა – **დავით გაბუნია,** პიესები („დიოგენე“); საუკეთესო პროზაული კრებული – **არჩილ ქიქოძე,** ჩიტის და კაცის ამბავი (სიესტა); საუკეთესო პოეტური კრებული – **ეკა ქევანიშვილი,** სახლის გაყიდვა („საუნჯე“); საუკეთესო რომანი – **ზვიად კვარაცხელია,** ფორმა №100 („ინტელექტი“); ქართული ნაწარმოების საუკეთესო უცხოური თარგმანი – **დონალდ რეიფილდი,** ოთარ ჭილაძის „ველუმი“ (ინგლისური თარგმანი); პრემია ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის გადაეცა **დავით წერედიანს.**

საბას ჟიურის წევრების ვინაობა დაჯილდოების ცერემონიის დაწყებამდე გასაიდუმლოებული იყო. ჟიურიში შედიოდნენ მწერალი **ანდრო ბუაჩიძე,** ფილოლოგი **ლევან ბერძენიშვილი,** დრამატურგი **მანანა დოიაშვილი,** მწერალი ბასა ჯანიკაშვილი და პუბლიცისტი **ბიძინა მაყაშვილი.**

წელს საპრემიო ფონდი 44 ათას ლარს შეადგენდა, რომელსაც გამარჯვებულ ავტორებს „საბას“ კონკურსის დამფუძნებელი და ორგანიზატორი, „თიბისი“ ბანკი გადასცემს.

ყოველწლიური ლიტერატურული პრემია „საბა“ 2003 წელს დაფუძნდა და მისი მიზანი გასული ერთი წლის საუკეთესო წიგნების გამოვლენაა.

◎ ინფორმაცია

ანგარიშები დაუყადაღეს

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ყოფილ უფროსს თემურ ჯანაშიას ქონება და საბანკო ანგარიშები დაუყადაღეს.

ადვოკატის ინფორმაციითჯანაშიას დაუყადაღეს საბანკო ანგარიშები, მათ შორის ანგარიში, რომელზეც პენსიის თანხა ერიცხება.

თემურ ჯანაშიას სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ხარჯების გაფლანგვაში ედება ბრალი. აღმკვეთის ღონისძიების სახით სასამართლომ მას გირაო შეუფარდა.

რეკლამა

299-62-77;

568 82-09-84.

საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისიის განცხადება

საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია აცხადებს, რომ თანახმად საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 2 სექტემბრის №70/04 ბრძანებით დამტკიცებული დებულებისა და სებ-ის პრეზიდენტის 2014 წლის 22 აგვისტოს №64 განკარგულებისა, 2014 წლის 13 ოქტომბერს, დღის 12 საათზე, საქართველოს ეროვნული ბანკის ცენტრალურ ოფისში (სანაპიროს ქ. 2, ოთახი №416) ჩატარდება საჯარო აუქციონი, საქართველოს ეროვნული ბანკის საკუთრებაში არსებულ 2,724 კვ.მ. ფართობის არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.14.05.007.071), მდებარე: ქ. თბილისი, სანდრო ეულის ქ. №7.

მიწის ნაკვეთის საწყისი სააუქციონო ფასი განისაზღვრა 625 000 (ექვსას ოცდა ხუთი ათასი) აშშ დოლარის (აუქციონის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსით ეროვნულ ვალუტაში) ოდენობით.

აუქციონში მონაწილეობისათვის შესატანი ბე-ს მოცულობა შეადგენს ქონების საწყისი სააუქციონო ფასის 10%-ს, რომელიც ჩარიცხული უნდა იქნეს საქართველოს ეროვნული ბანკის № GE88NB0450100117904101 ანგარიშზე, ბე-ს შეტანის დღეს არსებული კურსით ეროვნულ ვალუტაში (ს/კ 203 824 148, ბანკის „SWIFT'“ კოდი: BNLNGE22). აუქციონის დასრულების შემდეგ მოხდება შეძენილი მიწის ნაკვეთის ღირებულების დაფიქსირება ეროვნულ ვალუტაში, რომლის გადახდაც სავალდებულოა დადგენილ ვადებში. მყიდველს გადახდილი ბე-ს თანხა ჩაეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას, ბე-ს შემოტანის დღეს არსებული კურსით. განაცხადი (რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილის და ობიექტის შესახებ), ბე-ს შეტანის ქვითარი, აუქციონში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, იურიდიული პირების მონაწილეობის შემთხვევაში, დამატებით, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, წარედგინება სააუქციონო კომისიის მდივანს რეგისტრაციისათვის, რის შემდეგაც გაიცემა „მონაწილის ბილეთი“. უმცირესი „ბიჯი“ შეადგენს 5 000 (ხუთი ათასი) აშშ დოლარს. აუქციონის დასრულების შემდეგ დგება ოქმი, რომლის ხელმოწერიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში მყიდველმა ოქმში მითითებულ ანგარიშზე უნდა ჩარიცხოს ობიექტის მთლიანი თანხა ან ნახევარი მაინც, რომელიც შეესაბამება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს. იმ შემთხვევაში თუ ზემოაღნიშნულ ვადაში მყიდველმა გადაიხადა ობიექტის ღირებულების მხოლოდ ნახევარი, გადახდის ვადა გახანგრძლივდება ოქმის ხელმოწერიდან კიდევ 30 კალენდარული დღით. თუ მყიდველი უარს იტყვის ნაყიდ ქონებაზე ან დროულად არ შეიტანს საჭირო თანხას, მას ჩამოერთმევა უფლება ქონების შეძენაზე და გადახდილი თანხა და ბე არ დაუბრუნდება. საჯარო აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების რეალიზაციის მიზანია, საკუთრების უფლება მიენიჭოს საჯარო აუქციონში მონაწილე იმ პირს რომელიც ვაჭრობის პროცესში სახელმწიფო ქონების განმკარგავ სუბიექტს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს. ასევე აუქციონში გამარჯვებულის დადგენის და მის მიერ აუქციონზე შეთავაზებული თანხის სრულად დაფარვის შემდეგ მიწის ნაკვეთის მყიდველის სახელზე გადაფორმება მოხდება 20 დღის განმავლობაში.

პირს უფლება აქვს, ბე-ს დაუკავებლად უარი განაცხადოს წერილობითი ფორმით საჯარო აუქციონში მონაწილეობაზე, განაცხადების მიღების ვადის ამოწურვამდე 48 საათით ადრე. შემოტანილი ბეს საფასურის უკან დაბრუნდება მოხდება შემოტანილი ბეს ლარების შესაბამისად.

აუქციონში მონაწილეობაზე განცხადების მიღებას კომისია იწყებს აუქციონის გამოცხადების დღიდან და ამთავრებს აუქციონის დაწყებამდე 24 საათით ადრე. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ განცხადებები არ მიიღება. დაინტერესების შემთხვევაში, დაწვრილებითი ინფორმაციის მიღების მიზნით და მიწის ნაკვეთის სანახავად შეგიძლიათ, მიმართოთ ბექა ბარბაქაძეს (ტელ: 2 40-63-97, მობ: 577 98-40-34).

საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია

დემურ გადელია, პეტრე ბერაია, ელიზბარ ლომინაძე, მელორ ტყეშელაშვილი, ნოდარ ზაზაძე, თემურ კალანდაძე, თენგიზ კალანდაძე, ვახტანგ კიკნაძე, დათო ბენიძე მწუხარებით თანაუგრძნობენ უახლოეს მეგობარს ვიტალი ხაზარაძეს დისშვილის

ალეკო ფურცხვანიძის

გარდაცვალების გამო.

მარინა კანდელაკი, ალეკო ასლანიშვილი, გურამ გოგიაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია მწუხარებით თანაუგრძნობენ ბატონ ვიტალი ხაზარაძეს დისშვილის

ალეკო ფურცხვანიძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ აკადემიის კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს პაატა ქორქიას გარდაეცვალა მამა

გიორგი ქორქია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

შვილები ლიანა, ნანი, ქეთევან რუხაიები, სიძეები თამაზ შევარდნაძე, ფრიდონ ინჯია, შვილიშვილები ვახტანგ, ნინო შევარდნაძეები, ივიკო (ივლიანე), მარიამ შევარდნაძეები, გიორგი, თეა ქობლიანიძეები, ბაადურ, თამარ ქობლიანიძეები, ბაჩი (ილია), ნინო ინჯიები, კახი, ხათუნა კოტრიკაძეები, ბექა, ელენე სურმავები, შვილთაშვილები გიორგი, ელენე, მარიამ, თამაზ, ქრისტინე, ლიკა, ქეთევან, დიმიტრი შევარდნაძეები, მარიამ, ნანუკა, ანნა, გიორგი, გოჩა, ელენე ქობლიანიძეები, ლუკა ალექსანდრე კოტრიკაძეები, ილია ინჯია, შვილთაშვილიშვილი ნინო სურმავა, იუწყებიან

ზინა ხიტირი-რუხაიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 25, 26 IX, 17 სთ. გამოსვენება 27 IX, 14 სთ. მისამართი: წყნეთი, ფიროსმანის 1 ჩიხი, №7.

ავთანდილ იაშვილი, კოტე სამუშია, თეიმურაზ ბერიშვილი, ვახტანგ თოდუა, თეიმურაზ ღოღობერიძე, თორნიკე აფაქიძე, დემურ ინჯია, ნანა შარაშენიძე, პავლე გიორგობიანი, რეზო სახოკია, გენო შეროზია თანაუგრძნობენ ქალბატონ ქეთევან რუხაიას და ბატონ ფრიდონ ინჯიას დედისა და სიდედრის

ზინა ხიტირი-რუხაიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ავთანდილ იაშვილი, კოტე სამუშია, თეიმურაზ ბერიშვილი, ვახტანგ თოდუა, თეიმურაზ ღოღობერიძე, თორნიკე აფაქიძე, დემურ ინჯია, ნანა შარაშენიძე, პავლე გიორგობიანი, რეზო სახოკია, გენო შეროზია თანაუგრძნობენ ბატონ ილია ინჯიას და ქალბატონ ხათუნა ინჯიას ბებიის

ზინა ხიტირი-რუხაიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი – ფოპტნეტის“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ ბატონ ილია ინჯიას და ქალბატონ ხათუნა ინჯიას ბებიის

ზინა ხიტირი-რუხაიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვარი ტელეკომუნიკაციის ქსელი – ფოპტნეტის“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ ქალბატონ ქეთევან რუხაიას და ბატონ ფრიდონ ინჯიას დედისა და სიდედრის

ზინა ხიტირი-რუხაიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შპს „სისტემ ნეტის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ბატონ ილია ინჯიას და ქალბატონ ხათუნა ინჯიას ბებიის

ზინა ხიტირი-რუხაიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შპს „სისტემ ნეტის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ქალბატონ ქეთევან რუხაიას და ბატონ ფრიდონ ინჯიას დედის და სიდედრის

ზინა ხიტირი-რუხაიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

◎ რეგიონი

უბედური შემთხვევა

ქვიშის კარიერზე 29 წლის ზაზა ტუხაშვილი გარდაიცვალა. შემთხვევა მაშინ მოხდა, როდესაც იგი კარიერში ქვიშის სამტვრევს ასუფთავებდა. მას 5 ტონა ქვიშა დაეყარა.

ტუხაშვილს რამდენიმე საათის განმავლობაში ეძებდნენ. თვითმხილველების თქმით, იგი უკვე გარდაცვლილი იპოვეს. საქმე აღძრულია სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომელიც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს.

გარდაცვლილი ლევან სამხარაულის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის გურჯაანის ბიუროშია გადასვენებული. გამოძიებას დედოფლისწყაროს რაიონული პოლიცია აწარმოებს.

დედოფლისწყაროში საბრძოლო მასალა ამოიღეს

შსს-მ დედოფლისწყაროში საბრძოლო მასალა ამოიღო. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს დედოფლისწყაროს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1960 წელს დაბადებული, წარსულში ანალოგიური დანაშაულისთვის ნასამართლევი თამაზ ხ. ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა თამაზ ხ-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას „ეფ-1„-ის ტიპის 2 ხელყუმბარა, 161 საბრძოლო ვაზნა, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის 2 მჭიდი და 9 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს რაც 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

◎ ჩვენი კარაბადინი

სნეულების ნიშნები

როდის უნდა ავტეხოთ განგაში



საერთაშორისო დიაბეტიკური ფედერაციის ბოლო მონაცემების თანახმად, მსოფლიოში ითვლიან 382 მილიონ ავადმყოფს შაქრის დიაბეტით და 316 მილიონ პიროვნებას გლუკოზისადმი დარღვეული ტოლერანტობით, რომელთაგანაც ბევრს ამაზე ეჭვიც არა აქვს.

ამ დროს ბევრ მათგანს აქვს „ტკბილი სენის“ განვითარების მაღალი რისკი.

ჩვენი მკითხველების შეკითხვებს, რომლებიც ამ პრობლემასთან არის დაკავშირებული, უპასუხებს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი **ალექსანდრ მაიოროვი**.

არის კი საშიში?

ექიმმა მითხრა, რომ სისხლის შაქარი ოდნავ აწეული მაქვს. რას ნიშნავს ეს? თითქოსდა, თავს ცუდად არ ვგრძნობ.

გენადი, კოსტრომა

— ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების თანახმად, ნორმაში შაქრის დონე, თუ უფრო სწორად ვილაპარაკებთ, უზმოზე პლაზმის გლუკოზის დონე (სისხლი ვენიდან) შეადგენს ლიტრზე 6,1 მილიმოლს, დატვირთვის ჩატარებიდან ორი საათის შემდეგ კი (გაძლევენ 75 გრამ გამდნარ გლუკოზას დასალევად) — ლიტრზე 7,8 მილიმოლზე ნაკლებია. დიაგნოზი „შაქრის დიაბეტი“ ისმება, თუ უზმოზე პლაზმის გლუკოზის დონე არის ლიტრზე 7,0 მილიმოლი (ან ტესტის შემდეგ ორი საათიდან არის მეტი ან უთანაბრდება ლიტრი 11,1 მიმოლს. ნორმასა და შაქრის დიაბეტს შორის არის პრედიაბეტის ზონა. მას განეკუთვნება ნახშირწყლების ცვლის დარღვევის ორი კატეგორია:

დარღვეული გლიკემია უზმოზე, როდესაც უზმოზე პლაზმის გლუკოზის დონე იმყოფება ინტერვალში ლიტრზე 6,1 მილიმოლზე, ხოლო დატვირთვის ტესტის შემდეგ ორი საათიდან უკვე ნორმაშია, ეს ესე იგი ლიტრზე 7,8 ნაკლები მინიმოლი;

გლუკოზისადმი დარღვეული ტოლერანტობა, როდესაც უზმოზე პლაზმის გლუკოზის დონე ლიტრზე 7,0 მილიმილზე ნაკლებს შეადგენს, დატვირთვის ტესტიდან ორი საათის შემდეგ კი იმყოფება ინტერვალში ლიტრაზე 7,8-11,0 მინიმოლი. პაციენტებს ამ სტადიაში დაავადების არანაირი ნიშანი არა აქვთ. მაგრამ ამ დროს მათ აქვთ მე-2 შაქრის დიაბეტის განვითარების მეტად მაღალი რისკი.

უმჯობესია, ვიცოდეთ

ჩვენ ოჯახში ყველა დიაბეტიანი ვართ. აი, მეც მაგზავნის ცოლი გავიკეთო ანალიზი სისხლის შაქარზე. მე კი ვფიქრობ: საჭიროა კი? რა საჭიროა გაიგო შენი დაავადების შესახებ დროზე ადრე? დიაბეტი ხომ მაინც განუკურნებელია?

მიხაილი პერმი

— თქვენი მეუღლე სწორია. სისხლში გლუკოზის მაღალი დონე ნეგატიურ გავლენას ახდენს ორგანიზმის ყველა ორგანოსა და სისტემაზე, ამიტომ სიცოცხლეს ამ მაჩვენებლით მივყავართ ისეთი მძიმე გართულებების განვითარებასთან, როგორებიცაა თვალების, თირკმლების, ტერფების დაზიანება, გულის დაავადებანი. დიაბეტისაგან განკურნება მართლაც შეუძლებელია, მაგრამ დაავადების უკან შემობრუნება ადრეულ სტადიაში რეალობაა.

გლუკოზის დონე რომ ნორმაში მოვიდეს, საკმარისია, დავიკლოთ წონაში და დავიწყოთ მოძრაობა. დიაბეტისწინა სტადიაში კი დაავადება ექვემდებარება პროფილაქტიკას: თუ ცხოვრების წესს შევიცვლით, დიაბეტი, შეიძლება, აღარასოდეს განვითარდეს.

მაგრამ ეს შეეხება მე-2 ტიპის შაქრის დიაბეტს, რომლითაც ავადაა დიაბეტიანი ყველა პირის 95 პროცენტი.

სხვათა შორის

მე-2 ტიპის შაქრის დიაბეტის განვითარების რისკის ფაქტორებს მიეკუთვნება:

ასაკი 45 წელზე ზევით;

სხეულის ზედმეტი წონა და სიმსუქნე (სხეულის მასის ინდექსი — 25 კილოგრამზე მეტი ერთ კვადრატულ მეტრზე);

ახლო ნათესავების ყოლა (მშობლები ან დები და ძმები — მე-2 ტიპის შაქრის დიაბეტით);

დაბალი ფიზიკური აქტივობა;

უზმოზე დარღვეული გლიკემია ანდა წარსულში გლუკოზისადმი დარღვეული ტოლერანტობა;

ჰესტაციური შაქრის დიაბეტი (რომელიც ფეხმძიმობის დროს ჩნდება) ან დიდი ბავშვის დაბადება (4 კილოგრამზე მეტისა);

არტერიული ჰიპერტენზია (წნევა ვერცხლის სვეტის 140-90-ზე, ან მისი მედიკამენტური მკურნალობა);

მაღალი სიმკვრივის ქოლესტერინი სისხლში ლიტრზე 0,9 მილიმოლი ან ტრიგლიცერინის დონე ლიტრზე 2,82 მინიმოლი;

პოლიკისტოზური საკვერცხეების სინდრომი (ქალებისთვის);

გულ-სისხლძარღვთა დაავადებათა არსებობა.

სხეულის ზედმეტი წონის ან სიმსუქნის და ზემოთ ჩამოთვლილი რისკის ფაქტორების დროს საჭირო გავიაროთ გამოკვლევა ნებისმიერ ასაკში. იმ პირებმა, რომლებსაც არა აქვთ რისკების ეს ფაქტორები, გამოკვლევა უნდა გაიარონ 45 წლის ასაკიდან. თუ შედეგი ნორმალურია, ეს უნდა გავიკეთოთ ყოველ სამ წელიწადში ერთხელ. თუ გამოვლინდა პრედიაბეტი, განმეორებითი გამოკვლევა (მათ შორის დატვირთვითი ტესტი გლუკოზასთან დაკავშირებით) ეწყობა ყოველწლიურად.

ტატიანა გურიანოვა

ტესტი

რომ გაერკვეთ პრედიაბეტის ან მე-2 ტიპის დიაბეტის განვითარების თქვენს რისკში, საკმარისია, შეავსოთ მარტივი კითხვარი.

უპასუხეთ ყველა 8 შეკითხვას. ყოველი შეკითხვისთვის შეარჩიეთ ერთი სწორი პასუხი და აღნიშნეთ იგი. შეაჯამეთ ყველა ქულა, რომლებიც შეესაბამება თქვენს პასუხებს შეკითხვებზე. შემაჯამებელი ქულა გამოიყენეთ შაქრის დიაბეტის ან პრედიაბეტის რისკის განვითარების განსაზღვრისათვის. შევსებული კითხვარი გადაეცით თქვენს ექიმს.

1. თუ განუსაზღვრავთ თქვენთვის როდესმე სისხლში გლუკოზის (შაქრის) დონე ნორმის ზევით (დისპანსერიზაციის, პროფესიული დათვალიერების, ავადმყოფობის ან ფეხმძიმობის დროს)?

ა) არა — 0 ქულა

ბ) დიახ — 5 ქულა

2. თუ მიგიღიათ როდესმე რეგულარულად წამლები არტერიული წნევის დაწევისათვის?

ა) არა — 0 ქულა

ბ) დიახ — 2 ქულა

3. თქვენი ასაკი:

ა) 45 წლამდე — 0 ქულა

ბ) 45-54 წელი — 2 ქულა

გ) 55-64 წელი — 3 ქულა

დ) 65 წელზე ზევით — 4 ქულა

4. რეგულარულად თუ ასრულებთ ფიზიკურ ვარჯიშებს (30-30 წუთს ყოველდღე ან 3 საათს კვირაში)?

ა) დიახ — 0 ქულა

ბ) არა — 2 ქულა

5. თქვენი სხეულის მასის ინდექსი (წონა, კგ; სიმაღლე — კვადრატულ მეტრზე):

ა) 25 კგ. კვადრატულ მეტრზე — 0 ქულა

ბ) 25-30 კგ. კვადრატულ მეტრზე — 1 ქულა

გ) 30 კგ-ზე კვადრატულ მეტრზე — 3 ქულა

6. ხშირად მიირთმევთ ბოსტნეულს, ხილს ან კენკრას?

ა) ყოველ დღე — 0 ქულა

ბ) ყოველ დღე არა — 1 ქულა

7. თქვენი წელის შემოწერილობა (იზომავ ჭიპის დონეზე):

მამაკაცები, ქალები

ა) 94 სანტიმეტრზე ნაკლები

88 სანტიმეტრზე ნაკლები — 0 ქულა

ბ) 94-102 სანტიმეტრი 80-88 სანტიმეტრი — 3 ქულა

გ.) 102 სანტიმეტრზე მეტი

88 სანტიმეტრზე მეტი — 4 ქულა.

8. თუ ჰქონდათ თქვენს ნათესავებს 1 ან მე-2 ტიპის შაქრის დიაბეტი?

ა) არა — 0 ქულა

ბ) დიახ, ბებიას, ბაბუას, მამიდას, დეიდას, ბიძას, ბიძაშვილებს — 2 ქულა

გ) დიახ, მშობლებს, ძმას, დას, საკუთარ ბავშვს — 5 ქულა.

შედეგები

12 ქულაზე ნაკლები — თქვენ კარგი ჯანმრთელობა გაქვთ, და უნდა გააგრძელოთ ცხოვრების ეს ჯანსაღი წესი;

12-14 ქულა — შეიძლება თქვენ გაქვთ პრედიაბეტი. უნდა მოეთათბიროთ თქვენს ექიმს, თუ როგორ შეცვალოთ ცხოვრების წესი;

15-20 ქულა — შეიძლება, თქვენ გაქვთ პრედიაბეტი ან მე-2 ტიპის შაქრის დიაბეტი. საჭიროა, შეიმოწმოთ გლუკოზის (შაქრის) დონე სისხლში, შეცვალოთ ცხოვრების წესი. არ არის გამორიცხული, რომ დაგჭირდეთ წამალი სისხლში გლუკოზის (შაქრის) დონის დასაწევად;

20 და მეტი ქულა — ალბათ, თქვენ გაქვთ მე-2 ტიპის შაქრის დიაბეტი. უნდა შეიმოწმოთ სისხლში გლუკოზის (შაქრის) დონე და შეეცადოთ, მოიყვანოთ იგი ნორმაში, შეიცვალოთ ცხოვრების წესი. თქვენ დაგჭირდებათ წამლები სისხლში გლუკოზის (შაქრის) დონის კონტროლისათვის.

ჩავიჩიჭნოთ

თქვენ არ შეგიძლიათ გავლენა მოახდინოთ თქვენს ასაკზე ან პრედიაბეტისა და შაქრის დიაბეტისაკენ თქვენს მიდრეკილებაზე, მაგრამ თქვენ შეგიძლიათ, შეცვალოთ თქვენი ცხოვრების წესი და ამით შეამციროთ ამ დაავადებათა განვითარების რისკი.

თქვენ შეგიძლიათ, შეიცვალოთ სხეულის მასა, გახდეთ უფრო აქტიური ფიზიკურად და მოიხმაროთ უფრო ჯანსაღი საკვები.

ცხოვრების ამ წესის შეცვლა განსაკუთრებით აუცილებელია ასაკის ზრდასთან ან თქვენი მემკვიდრეობითი მიდრეკილების გათვალისწინებით შაქრის დიაბეტთან დაკავშირებით.

ცხოვრების ჯანსაღი წესი აუცილებელია იმ შემთხვევაშიც, თუ უკვე დაგისვეს პრედიაბეტის ან მე-2 ტიპის დიაბეტის დიაგნოსტიკა.

სისხლში გლუკოზის (შაქრის) დონის, სხეულის მასის და დაავადების არახელსაყრელი პროგნოზის შემცირებისათვის შეიძლება დაგჭირდეთ სამკურნალო თერაპია (მათ შორის ინსულინის მიღებაც).

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 568 82-09-84.

ვაჟა ჭყონიას სიცილის კარდიოგრამა ქუთაისიდან

დედამ არ გაუშვა

სულგანათლებული ვატა სულამანიძე ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნება იყო ქუთაისში. დედ-მამაც ღირსეული ჰყავდა.

ერთხელ ვატას დედა — ღურღუ ქმარს, ბატონ გრიგოლს ეუბნება:

— მოდი, ახალგაზრდობა გავიხსენოთ, პაემანი დამინიშნე და ყვავილებით დამელოდეო.

იყიდა ყვავილები ბატონმა გრიგოლმა, დადგა კინო „კომუნას“ წინ და დაიწყო ლოდინი. იცდის, იცდის და რომ არ გამოჩნდა, ნერვიულობა დაიწყო: ამ ჩემს დედაბერს ხომ არაფერი მოუვიდაო.

— ერთი საათია გელოდები, რატომ არ მოდიხარ? — ეკითხება აღელვებული ქმარი.

— დედაჩემი არ მიშვებს. — ისმის პასუხი.

* * *

დააგვიანდა

გურულმა ხიდან ჩამოვარდნილი შვილი მიიყვანა ცნობილ ნევროპათოლოგთან, მურმან ნიქაბაძესთან.

ექიმმა ჩვეული გულისხმიერებით გასინჯა და პაციენტის მამას უსყვედურა: რატომ დაგვიანე მოყვანაო.

ამის გამგონე გურული გაწიწმატდა: ვიდრე ხეზე ავიდოდა, მანამდე ხომ არ მოვიყვანდიო.

არადა, სწორს ბრძანებდა ბატონი მურმანი. ადრე რომ მოეყვანა და გურულის ბიჭი ხეზე არ ასულიყო, მართლაც არაფერი დაუშავდებოდა.

* * *

დათეშიძის გორაზე

ცოლი და ქმარი ცხრა წლის შვილთან ერთად საბაგირო გზით გორაზე ადიან.

— გახსოვს, ჩემო სიცოცხლეევ, 10 წლის წინათ გორაზე ამ გზით პირველად რომ ავედით?

— რა დამავიწყებს იმ საღამოს, ჩემო საყვარელო! — პასუხობს ქალი.

ბავშვი მშობლების საუბარმა დააინტერესა და მამას ეკითხება:

— მამიკო, მე სად ვიყავი მაშინ?

— აქ რომ ამოვდიოდით — ჩემთან, უკან დაბრუნებისას კი დედაშენთან! — აუხსნა მამამ.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24